

გაზეთი ბეჭდის, „ვერსიის“ ერთი

# ვერსია

ფასი 50 თეთრი



ორშაბათი

ოთხშაბათი

პარასკევი

№33 (1059) 25 - 26 მარტი, 2015 წელი

## ექსკლუზიური ინტერვიუ ბრაზილიის ელჩთან



33. 5

## „დრო მოვა და ყველა პასუხს აბეჭდ“



გულწრფელად გეტყვით — 54-კაციანი დაზუსტებული სია მზადაა. სახელმწიფოს ინტერესების დაცვა გვსურს. ყველა „ზონდერს“, ან ნაციონალს რატომ უნდა ჰქონდეს სახელმწიფო საიდუმლოებაზე წვდომა და ძალოვან სტრუქტურებში რატომ უნდა მუშაობდეს?!

33. 4

იჩნება ინაშვილი უშიშროებაში მომუშავე ნაციონალების გვარებს მომდევნო კვირას დაასახელებს

10 მილიონად ქსეული  
1 ლარი — სად  
კეთდება ახალი აბეჭი

## „თავუი ქვა უხლიათ“ — ალასანიას პარტიის პასუხი ნაციონალებს



33. 3

რამდენი ხმა ავდებსა უმცირესობას მთავრობის იმპიჩმენტის დასაწყებად და ვის მხარეს დაიქერს პრეზიდენტი მარგვედაშვიდი

## საგადასახადო შემოწმების ბუფი თბილისში



33. 4

რაცომ ამონებენ ისტერიულად პაჭარა მალაბიებს და რა შენიშვნები აქვთ ექსპერტებს

## ფარული გარიგება და კორუფცია სამარშრუტო ტაქსებში?!

რაცომაა აუცილებელი „მარშრუტაში“ პლასტიკური ბარათების გამოყენება ან ბილეთით მგზავრობა



33. 7

## შსს-მ „კანონიერი ქურდი“ დააკავე



33. 2

„ნაბისიერი რაჟიმს მივიღებ, თუ ჩემი სხეული და გონება თავისუფალი იქნება!“



33. 9

ვლადიმერ ნაბოკოვის უცნობი ინტერვიუ

გორგიანი ყველაზე იაფი  
33. 7 ფასების აქტია დაიწყო



## „ტარასას“ აღწევება ზონაზე

რაცომ აგინა პადაჟენეცმა „ქურდებს“ და როგორ იძიეს შური პაჭიმრებმა კადაშოვის, ონიანისა და შუშანაშვიდის გამო

33. 6



კაჭიმირის  
დღიური

კომპანია „არაგვის“ კუთვნილ საშთო-მომავალი საწარმოებში დამოუკიდებელი გარემოსდაცვითი აუდიტი ჩატარდება



33. 8

# 10 მილიონად ქსეული 1 ლარი — სად კეთდება ახალი აგებები



## ბიზნისი იაშვილი

სიმართლე გითხრათ, როცა 21 მარტის აქციის გამართვის ადგილი შეიცვალა და იგი თავისუფლების მოედანზე გადაიტანეს, ეჭვი გაჩნდა, რომ ეს კონკრეტულად ერთი ტელევიზიისთვის გაკეთდა. როგორც კულუარებში ამბობენ, ასეთი მოთხოვნა „რუსთავი-2“-ის ხელმძღვანელებისგან წამოვიდა, რადგან თავისუფლების მოედანზე კადრი უფრო კარგად იშლება, ვიდრე 22 მეტრის სივანის რუსთაველზე...

აღნიშნული ტელეკომპანია ტყუილად არ მისხნებია, რადგან ბოლო დროს ამ ტელეკომპანიამ არაერთი სიუჟეტი გააკეთა, რომელსაც, როგორც ოპონენტები ამბობენ, სიმართლესთან საერთო არაფერი ჰქონდა. ალბათ არავის გაუკვირდება, თუ ვიტყვით, რომ ეკა კვესიტაძე მისი საავტორო გადაცემით — „განსხვავებული აქცენტები“ საინტერესო აქცენტებს აკეთებს და მუდმივად „ახლის“ ძიებაშია. ამჯერად, მისი გადაცემის მორიგი სამიზნე თანაინვესტირების ფონდი გახლდათ, რომელმაც სასაბურთო მეურნეობა ააშენა, თუმცა, როგორც კვესიტაძე ამტკიცებს, 2,5 მილიონ ლარად შეფასებული მიწა, თანაინვესტირების ფონდის მმართველ კომპანიას 1 ლარად გადაეცა. სამწუხაროდ, ის არავის გახსენებია, რომ რამდენიმე დღის წინ სამცხე ჯავახეთში სპეციალური დანიშნულების რაზმის ბაზა გაიხსნა და ეს ადგილი 1 ლარად ივანე მერაბიშვილის მამას ჰქონდა შეგულებულ-მოზომილი. არც ის გახსენებია ვინმეს, რომ მერაბიშვილის უწყებაში მუშაობდა ბატონი შოთა უტიამიშვილი, რომელიც ეკა კვესიტაძის ქმარია...

ამ ფაქტთან დაკავშირებით, თანაინვესტირების ფონდმა გაავრცელა განცხადება, სადაც ვკითხულობთ: „2015 წლის 21 მარტს, „რუსთავი 2“-ზე გადაცემაში „განსხვავებული აქცენტები“ საქართველოს თანაინვესტირების ფონდთან, ფონდის მმართველი კომპანიის დამფუძნებლებსა და ერთ-ერთ მიმდინარე საინვესტიციო პროექტთან დაკავშირებით საზოგადოებას მცდარი ინფორმაცია მიენიჭა. გადმოცემული ფაქტები გახლდათ დამახინჯებული და ფონდის თაობაზე გაკეთებული განცხადებები და შეფასებები არ შეესაბამებოდა სიმართლეს. სამწუხაროდ, რომ ქალბატონი კვესიტაძის გადაცემაში ფონდთან დაკავშირებული მთელი სიუჟეტი ტყუილზე იყო აგებული. არც ქალბატონ ეკას და არც „რუსთავი 2“-ის რომელიმე ჟურნალისტს, ფონდისთვის ინფორმაციის გადასამომწებლად არ მოუხმარათ. გვინდა განვაცხადოთ, რომ 2,5 მილიონ ლარად შეფასებული მიწა არაა 1 ლარად, არამედ 10 მილიონ ლარად საინვესტიციო ვალდებულებით გადმოეცა ფონდს, რომელიც ფონდმა გადაჭარბებით შეასრულა დადგენილ ვალდებულებებზე ადრე.“

აღნიშნული მიწა საქართველოს თანაინვესტირების ფონდს და არა მის მმართველ კომპანიას გადაეცა 2014 წლის 26 აგვისტოს; ამავე წლის 19 სექტემბერს გაიმართა პროექტის ოფიციალური პრეზენტაცია, რომელსაც დაესწრო პრემიერ-მინისტრი. ღონისძიება გაშუქდა წამყვანი ტელეარხების საშუალებით. მშენებლობის დაწყებიდან მხოლოდ 6 თვეში აშენდა 44 ათასი კვადრატული მეტრი სასაბურთო მეურნეობა, განხორციელდა 10 მილიონ ლარზე მეტი ინვესტიცია, რაც დაკისრებულ საინვესტიციო ვალდებულებას აღემატება; ასევე, დასაქმდა 108 ადამიანი. დასაქმებული ადგილობრივი მოსახლეობის გარდა, მონაწილეობა აიღო ფრანგი, ქართველი და უკრაინელი მაღალი კლასის აგროინჟინერები, ბიოლოგები და ტექნოლოგები. 2015 წლის აპრილის ბოლოს იწყება პროექტის მეორე ფაზა, რომელიც სექტემბერში დასრულდება. იგი დამატებით 85 ათასი კვადრატული მეტრის სასაბურთო მეურნეობის მშენებლობას და დამატებით 20 მილიონ ლარის ინვესტიციას ითვალისწინებს.

„რუსთავი 2“-ის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ტელეკომპანიის ჟურნალისტებმა საქართველოში საერთაშორისო სავაჭრო პალატის ხელმძღვანელის, ფადი ასლის სიტყვებითაც გაამყარეს: „უკვე ერთ წელზე მეტია ვითხოვთ მოიმოქმედოთ რამე და შეაჩეროთ ბიზნესის რეკეტი და შევიწროება, რომელსაც შემოსავლების სამსახური ახორციელებს, რაც საქართველოში ბიზნესის განვითარების ნომეპრიველ დაბრკოლებად იქცა. თქვენ სისტემატურად აიგნორებთ ჩვენს მესიჯებსა და წერილებს, თქვენი დუმილი და უმოქმედობა სიტუაციას უფრო აფუჭებს. კიდევ ერთხელ მოვითხოვთ, შეაჩეროთ ბიზნესის შევიწროება და ჩვენ გულწრფელად იმედოვნებთ, რომ თქვენ საბოლოოდ გადადგამთ ნაბიჯებს და მოიმოქმედებთ რამეს ამისთვის.“

პალატის ხელმძღვანელს ბიზნესომბუდსმენი გიორგი გახარია მისიერად გამოეხმაურა: „განცხადებასთან დაკავშირებით, იყო შესაბამისი კომუნიკაცია საქართველოში საერთაშორისო სავაჭრო პალატის ხელმძღვანელთან ფადი ასლისთან. განცხადების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მასში მოაზრებული შემთხვევებიდან, ნაწილზე უკვე დასრულებული იყო ადმინისტრაციული წარმოება გადახდების სასარგებლოდ, ნაწილზე — მოგვიანებით დაკმაყოფილება გადახდელთა მოთხოვნები, ხოლო ერთ შემთხვევაში — უფლების დარღვევის ფაქტი გადახდელის მიერ არ დადასტურდა. ჩვენ მზად ვართ, შევინსწავლოთ და სათანადო რეაგირება მოვახდინოთ ბიზნესის სფეროს წარმომადგენელთა თითოეულ პრობლემაზე. შესაბამისად, მოვუწოდებთ ბატონ ფადი ასლის, ზოგადი ხასიათის განცხადებების ნაცვლად, მოგვანოდოს სახელმწიფო უწყებების მხრიდან ბიზნესის „რეკეტისა“ და „შევიწროების“ კონკრეტული შემთხვევები, თუკი ის არ იქნება დასაბუთებული, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ განცხადებაში მოყვანილი შეფასებები მოკლებულია რეალურ საფუძველს და არ ემსახურება ბიზნესის ინტერესების დაცვას.“

ახლა ნამდვილად ვერ ვიტყვით იმას, რომ ფადი ასლი ვიღაცის დაკვეთას ასრულებს, მაგრამ ამას წინააღმდეგობა ნაციონალური მოძრაობის ლიდერებმაც კი აღიარეს, რომ ბიზნესი რეკეტისგან თავისუფალია. მათ ამ მიმართულებით ეჭვი რომ ჰქონოდათ, გამორიცხებულია, ასეთი აღიარება გაეკეთებინათ.



## მსს-მ „კანონიერი ქურდი“ დააკავა

1978 წელს დაბადებული ლევან მარტია თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, „კანონიერი ქურდობის“ ბრალდებით დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული აღიარებს ქურდულ სამყაროს და გარკვეული პერიოდის განმავლობაში მისი წესების დაცვით ცხოვრობს. გამოძიება ქურდული სამყაროს წევრობის ფაქტზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პრიმა მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარეობს.

„ვერსიონი“

## „პირდაპირი უხსოვრი ინვესტიციების მოცულობა 15%-ით აღემატება შარხანდელ მონაცემებს“



ეკონომიკის მინისტრ გიორგი კვიციანიშვილის განცხადებით, ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოცულობა იზრდება. რაც მისი თქმით, საქართველოს ეკონომიკის მაღალი ზრდის მისაღწევად, ძალიან მნიშვნელოვანია: „ჩვენი ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპის მისაღწევად, მნიშვნელოვანია პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. აღსანიშნავია, რომ 2014 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 35%-ით აღემატება 2013 წლის დაზუსტებულ მონაცემებს. ხოლო 2012 წელთან შედარებით ზრდა 40%-მდეა.“

ეკონომიკის მინისტრის განმარტებით, საქართველო უცხოელ ინვესტორებთან მუშაობას აქტიურად განაგრძობს: „2014 წლის აგვისტოში საქართველოს მთავრობამ გამოაცხადა ინტერესთა გამოხატვა ანაკლიაში, შავი ზღვის სანაპიროზე ღრმანყოფანი, ახალი ნავსადგურის მშენებლობაზე. ამ დროისთვის უკვე შედგენილია მოკლე სია, საიდანაც უნდა გამოვლინდეს გამარჯვებული 2015 წლის სექტემბერში. ნავსადგური რამდენიმე ეტაპად აშენდება და საბოლოოდ, მისი წლიური გამტარობა 100 მილიონ ტონა ტვირთის მიაღწევს. პროექტის სავარაუდო ღირებულება მილიარზე მეტია.“

„პირველი“

## გენოსიდის უარყოფის გამო ოკუპირებულ სხივალის რეგიონში სასჯელს შემოიღებენ



ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ე.წ. პარლამენტი ოსი ხალხის გენოციდის უარყოფის გამო სისხლის სამართლის სასჯელის შემოღებაზე მსჯელობას უახლოეს მომავალში გეგმავს. ე.წ. პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის დიმიტრი ტასოევის განცხადებით, ისინი ძალისხმევას არ იშურებენ, რათა ტერმინოლოგია შეიცვალოს და „ქართულ-ოსური კონფლიქტის“ ნაცვლად, „სამამულო ომი“ იქნას გამოყენებული: „ასეთი ტერმინის დამკვიდრება საშუალებას მოგვცემს, პასუხისმგებლობა მივცეთ ის პირები, ვინც ე.წ. სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ სამხედრო დანაშაული ჩაიდინა. ტერმინი „კონფლიქტი“ განვითარებულ მოვლენებზე ამომწურავ განმარტებას არ იძლევა და ამას გარდა, ის საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს თანაბარ პასუხისმგებლობას აკისრებს, რაც ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია. ყველა ეს ნიუანსი ჩვენს დოკუმენტებში გარკვევით უნდა აისახოს, რათა სამართლებრივი ვაკუუმის გამო, დანაშაულებში მონაწილე პირები პასუხისმგებლობას ვერ გაექცნენ.“

„პირველი“

## ირაკლი ლარიბაშვილმა ბიზნესომბუდსმენებს ებრაელი ინვესტორების საკითხის შესწავლა დაავალა



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი საქართველო-ისრაელის ბიზნესპალატის პრეზიდენტის, იციკ მოშეს ინიციატივას ეხმაურება: „მინდა, გამოვხეხმაურო საქართველო-ისრაელის ბიზნეს პალატის პრეზიდენტის იციკ მოშეს ინიციატივას, საქართველოს მთავრობაში გამოიყოს საკონტაქტო პირი ისრაელის ინვესტორებსა და საჭირო უწყებებს შორის კომუნიკაციისთვის. ებრაელი ინვესტორების საკითხის შესწავლა უკვე დაავალე ბიზნესომბუდსმენს და შესაბამის გადაწყვეტილებას უახლოეს პერიოდში მივიღებ.“

იციკ მოშემ პრემიერს მთავრობაში ისრაელელი ინვესტორებისთვის კონკრეტული პიროვნების გამოყოფის თხოვნით მიმართა.

„პირველი“

## მთავრობის წევრები პარლამენტში, პრეზიდენტის გამოსვლას სავარაუდოდ, არ დაესწრებიან

მთავრობის წევრების უმრავლესობა ყურნალისტებთან საუბარში აცხადებს, რომ მათ განრიგი უკვე შედგენილი აქვთ, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება, დაესწრებიან თუ არა პრეზიდენტის გამოსვლას, მიღებული არაა.

როგორც სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია აცხადებს, აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით ზედმეტი აუიოტაჟია შექმნილი.

„ძალიან ბევრ რამეზეა დამოკიდებული მისვლა-არმისვლა. მაგალითად იმაზე, თუ რა გეგმები აქვთ მთავრობის წევრებს. მარტივია — ან დავესწრები, ან არა. თან, 31 მარტამდე ჯერ დიდი დროა“, — განაცხადა დანელიამ.

ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადურის კი აცხადებს, რომ ამ ეტაპზე გადაწყვეტილება მიღებული არ აქვს.

„შეხვედვად განრიგს, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე გადაწყვეტილება მიღებული არ მაქვს“, — განაცხადა ნოდარ ხადურმა

ამასთან, საგარეო საქმეთა და განათლების მინისტრებმა განაცხადეს, რომ სავარაუდოდ, პრეზიდენტის გამოსვლას პარლამენტში ვერ დაესწრებიან.



„პირველი“

# „თავში ქვა უხლიათ“ – ალასანიას პარტიის პასუხი ნაციონალურ

ენიშ კომპანიამ  
599-95-33-16

„მეუსრულელები მისიის“ პირველი რაუნდის კრახით დასრულების შემდეგ, ნაციონალური მოძრაობა მეორე რაუნდს იწყებს. როგორც 21 მარტს თავისუფლების მოედანზე ჩატარებული მიტინგისას შეეცდებიან, საპარლამენტო უმცირესობა მთავრობის იმპიჩმენტს გეგმავს. მიხეილ მაჭავარიანის განცხადებით კი, ამაში ირაკლი ალასანიას პარტიის, თავისუფალი დემოკრატების იმედი აქვთ. ნაციონალური მიზნად „საჭიროების შემთხვევაში, პერმანენტულ აქციებს“ და „ტექნიკური მთავრობის“ შექმნას ისახავენ, რიგგარეშე ან მორიგი საპარლამენტო არჩევნების მოსამზადებლად. „ვერსია“ სხვადასხვა ფრაქციის აზრით დაინტერესდა, პარლამენტში ზოგადი განწყობის გასაგებად და იმპიჩმენტის პროცედურისთვის საჭირო ხმებიც დათვალა. გთავაზობთ „ნაციონალური მისიის“ მეორე რაუნდის პერსპექტივებს, სადაც, გადამწყვეტი როლი, სხვათა შორის, საქართველოს პრეზიდენტს აქვს.



## ნამდენი ხმა აკლდება უმცირესობას მთავრობის იმპიჩმენტის დასაწყობად და ვის მხარეს დაიქნეს პრეზიდენტი მარგვედაშვიდი

გენგლმა ანი მირიქაძემ განაცხადა, რომ ხელისუფლებას ამ თემაზე არც კი უმსჯელია: „ბანკოტ პოლიტიკურ ძალასთან გრძელვადიან ან მოკლევადიან თანამშრომლობაზე ნამსვლეელი არაფერია. ზოგადად, ყველაფერი თითოეული დეპუტატის გადასწყვეტია. ვინც ნაციონალურ იდეას იზიარებს ან გაიზიარებს, მძიმე პოლიტიკური განაჩენისთვისაც მზად უნდა იყოს. კოალიციაში ეს თემა არც კი განხილულა, რადგან არარეალურად მივიჩნევთ და ჩემი აზრით, ამაზე საუბარი მომავალშიც არ ღირს“. კოალიციის შემადგენელი კიდევ ერთი პარტიის წევრი **ლევან ბერიძე** კი იმპიჩმენტის თემას მაშინვე გამოეხმაურა, მათი ამ განცხადებით დაბნეული ვარ, პარლამენტში მხარდაჭერებს ტყუილად ეძებენ, მათი გეგმები ირეალურიაო. ნაციონალურების მოწოდების პირდაპირმა ადრესატებმა, თავისუფალმა დემოკრატებმა უმცირესობას ჯერ წერილობით უპასუხეს: „ჩვენ პირველბრუნად დაყვენიერებთ მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხი, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ დაუფიქრებლად შევეუბრებებით შებისმიერ პროცესსა თუ პროცედურას. მთავრობა უნდა შეიცვალოს და ეს გადაწყვეტილება თავად მმართველმა ძალამ უნდა მიიღოს, უმოკლეს დროში“, ამის მერე კი თითოეულმა წევრმა არაერთხელ გამოიტყობა ნაციონალურების მხარდაჭერა. „ვერსიაში“ უმცირესობას დეპუტატმა **გიორგი ცაბარაძე** უპასუხა: „ეს განცხადება ჩვენი პარტიის დისკრედიტების მცდელობაა, რაც რამდენიმე თვეა გრძელდება, განსაკუთრებით, ჩვენს მიერ უმრავლესობის დატოვების შემდეგ. ფაქტობრივად, ყოველდღე ვრცელდება ინფორმაცია, თითქოს სადაც ვიყავით, ვიღაცას შევხვდით, რაღაცაზე გავრიგდით და

ა.შ. ამ კამპანიით მხოლოდ „ნაციები“ კი არა, ხელისუფლებაცაა დაკავებული, ეს თვალშისაცემია. ის, რაც მიხეილ მაჭავარიანმა, ცნობილმა პროვოკატორმა გააკეთა, ამ ძალის ხელნერაა. ეს კაცი იმ დროშია ჩარჩენილი, როცა ე.წ. ოპოზიციის ლიდერებს ჭადრაკის დაფაზე გადაადგილებდა ხოლმე. რა თქმა უნდა, დღეს ეს ბსოლუტურად გამორიცხულია. ჩვენ არავის პროვოკაციულ ინიციატივაში მონაწილეობას არ მივიღებთ, ისე, როგორც ეს აჭარაში ვერ შეძლეს. ისიც გავიგე, თურმე, მურმან დუმბაძე უერთდება მათ წინადადებას. ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს ამ ძალას ბატონი დუმბაძე თავის თანამებრძოლებთან ერთად, აჭარიდან დაწყებული, თბილისით დამთავრებული. ჩვენი პარტია უზუნაეს საბჭოში მიმდინარე მოვლენებში არავის ჩავათრევინებთ და იქ თავად მოვითხოვთ უზუნაესი საბჭოს ვადამდელი არჩევნები. თუმცა ნაციონალურ თამაშებში ნამდვილად არ აყვევებით. ზოგადად, ამ პროცედურას ტექნიკურ დონეზე არც განვიხილავ, იდეაც კი იმდენად მიუღებელი და შეურაცხმყოფელია. თავში ქვა უხლიათ ნაციონალურებს!“

ერთი სიტყვით, ეს ძალიან საინტერესო და ჩახლართული პროცედურაა, რომლის არათუ ფინალის ნახვა, არამედ ნამონწყებაც კი საპარლამენტო უმცირესობის ამჟამინდელ ძალებს ალემბატება. ამის შესახებ, ნაციონალურების გუნდის „პოლიტიკურმა ტენიებმა“ ჩვენზე უკეთ იცინა, ამიტომ, გაუგებარია, ეს მუქარა იყო მუქარისთვის თუ „ოცნებისთვის“ ნასროლი მასველი რგოლი, რათა ამ ეკონომიკური სიდუხჭირის ჟამს, ნაციონალურების ჯიბრზე, ხალხი ისევ ხელისუფლების მხარეს გადავიდეს.

ახლა პარლამენტში 149 დეპუტატია, რადგან ნაციონალურების წევრი, გარდაცვლილი ნაული ჯანაშია მაჟორიტარი იყო და ახალი წევრის ასარჩევად შუალედური არჩევნების ჩატარება საჭირო. შეაბამისად, ნაციონალურებს ახლა მხოლოდ 50 წევრი ჰყავთ, ისიც მას მერე, რაც უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ლევან თარხნიშვილი შევა. „ოცნების“ უმრავლესობას 87 წევრი ჰყავს, ნაციონალურების „იმედს“, თავისუფალ დემოკრატებს კი — 8; არის ასევე 4 დამოუკიდებელი დეპუტატი, მათ შორის, ყოფილი რესპუბლიკელ-ოცნებელი მურმან დუმბაძე, რომელმაც ნაციონალურებს მხარდაჭერა ღიად გამოუცხადა. დანარჩენი სამი დეპუტატი კი, „ოცნების“ განყოფილი გიორგი გაჩეჩილაძე, კობა დავითაშვილი და ნაციონალურების განყოფილი დავით ბეჟუაშვილი არიან. რაც შეეხება პროცედურებს: მხოლოდ მთავრობის იმპიჩმენტის საკითხის აღსაძვრელად, ნაციონალურებს 60 კაცი სჭირდებათ, საკითხის დასამტკიცებლად, ანუ პროცედურის დასაწყებად კი — 75. 50-კაციან უმცირესობას ოთხივე დამოუკიდებელი დეპუტატიც რომ დაეუმატოთ, იმპიჩმენტზე საუბრის დაწყებასაც ვერ მოახერხებენ, რადგან ალასანიას რეკაციაშია ფრაქციაში იმავე დღეს სასტიკი უარი გამოუცხადა. ვთქვათ, მოხდა სასწაული და უმცირესობამ საჭირო 60 კაცს თავი მოუყარა, კონსტიტუციის 81-ე მუხლის მიხედვით, საკითხს დასამტკიცებლად 15 მისი დამატება დასჭირდება, თან ეს ყველაფერი ინიციატივის გაუფრებლად 20-25 დღეში უნდა მოესწროს. ხოლო, თუ საკითხი კენჭისყრაზე ჩავარდება, მაშინ „ნაციონალური მისიის“ მესამე რაუნდი, კანონით, ნახევარი წლით გადაიდება. გარდა ამისა, უნდობლობის საკითხის აღძვრიდან მაქსიმუმ 25 დღეში, 60-მა დეპუტატმა პრემიერ-მინისტრობის ახალი კანდიდატი პრეზიდენტს უნდა წარუდგინოს, რისთვისაც ისევე 75 ხმაა საჭირო. ხოლო კანდიდატურის ჩავარდნა, ავტომატურად, უნდობლობის პროცედურის შეწყვეტას ნიშნავს. თუ ნაციონალურებს ეს ეტაპები გაიარეს, თამაშში უკვე პრეზიდენტი მარგვედაშვილი ერთვება, რომელმაც, სხვათა შორის, მთავრობასთან ურთიერთობები შედარებით დაალაგა. მარგვედაშვილს შეუძლია, პრემიერობის დასახელებულ კანდიდატს ვეტო დააღოს. ამ შემთხვევაში, პარლამენტი კანდიდატურას კენჭს მეორედ უყრის, მაგრამ „ვეტოდადებული კაცის“ დამტკიცების კვორუმი 75-დან 90-მდე იზრდება. ამდენი ხმა ნაციონალურებს კი არა, „ოცნებასაც“ არ აქვს, ხოლო მთავრობის ახალი კანდიდატისთვის ნდობის გამოცხადება ნინა მთავრობისადმი უნდობლობის უკვე ნიშნავს, მაგრამ, თუ პარლამენტმა უნდობლობის საკითხი ვერ დაძლია, გადამწყვეტი როლს აქვს პრეზიდენტი ასრულებს — მას შეუძლია მთავრობასთან დამარცხებული პარლამენტი „უუნაროდ“ სცნოს და 3 დღეში რიგგარეშე არჩევნები დანიშნოს.

რაც შეეხება პოლიტიკურ გამოხმაურებას, როგორც სახელისუფლო გუნდში ამტკიცებენ, ნაციონალურების ინიციატივა „ოცნებაში“ სერიოზულად არც მიუღიათ. ნაციონალური კი ამტკიცებენ, რომ 21 მარტის აქცია კრახით სულაც არ დასრულდება და შედეგებით ძალიანაც კმაყოფილები არიან. გარეგნული სიმშვიდის მიუხედავად, ორივე ძალამ 23 მარტს პოლიტსაბჭოს სხდომა დანიშნა. ნაციონალურებს სხდომაზე სწორედ იმპიჩმენტის პროცედურის საკითხები და ვადები განიხილეს, „ოცნებას“ კი, ჩვენი ინფორმაციით, ეს თემა სხდომის საკითხებში საერთოდ არ შეუტანია. ცხადია, საპარლამენტო უმცირესობა იმ დეპუტატებს დღესვე არ ჩამოგვითვლის, ვისი მხარდაჭერის იმედიც აქვს, მაგრამ მათთან ერთი საინტერესო კითხვა მაინც არსებობს: კონკრეტულად როდის დაიწყება იმპიჩმენტის პროცედურა. თუ ამას უახლოეს დღეებში აპირებენ, მაშინ ლევან თარხნიშვილისა და გარდაცვლილი ჯანაშიას 2 ხმას კარგავენ, მათ კი ახლა დასაკარგი ხმა არ აქვთ. არც დასაკარგი შანსი აქვთ, რადგან, თუ საკითხი ბოლომდე ვერ მიიყვანეს, ამ თემაზე 6 თვე კრინტს ვეღარ დაძრავენ. არადა, მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადება ძალიან რომ გადადონ, პოლიტიკური ეფექტი იკარგება. მოკლედ, ნაციონალურების პოლიტსაბჭოზე სასუფეგო რომ არაფერი თქმულია, ამას ლიდერების დიდი ნაწილის დემოლიც მონიშნავს, **დაპიტი დარჩინაშვილი** კი გავლიზიანება ვერ დამალა და ამ ფრაზით შემოიფარგლა: „ვეტირობ, იმპიჩმენტის პროცედურა რეალურია და რაც დრო გავა, მით უფრო რეალური გახდება“. ეროვნული ფორუმისა და „ოცნების“ კოალიციის წარმომად-

## პარსიანიუსი 43-ე ბატალიონი ავღანეთში გააჩივს

ვაზიანში, IV მექანიზირებული ბრიგადის სამწყობრო მოედანზე, ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში „მტკიცე მხარდაჭერის“ სამშვიდობო მისიაში მონაწილე 43-ე ბატალიონის გაცილების ცერემონიალი გაიმართა. ღონისძიება საქართველოს სახელმწიფო ჰიმნით გაიხსნა, რომელიც ეროვნული გვარდიის სამხედრო-საჩვენებელმა ორკესტრმა შეასრულა. ქართველ სამხედროებს სიტყვით მიმართა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ-მაიორმა ვახტანგ კაპანაძემ. მან სამშვიდობოებს „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიის წარმატებით შესრულება და სამშობლოში მშვიდობით დაბრუნება უსურვა.



ცერემონიაზე დასასწრებად თბილისში სპეციალურად ჩამოვიდა ევროპაში აშშ-ს საზღვაო ქვეითი ძალების სარდლის მოადგილე, ბრიგადის გენერალი ნორმან ქულინგი. სიტყვით მიმართვისას ამერიკელმა გენერალმა და აშშ-ს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოადგილე ნიკოლას ბერლინერმა ქართველი სამხედროების პროფესიონალიზმს გაუსვენს ხაზი და მისიისთვის გადასროლისწინა წვრთნების წარმატებით დასრულება მიულოცეს. ღონისძიებას თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე გოჩა რატიანი, შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელი პირები და 43-ე ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრები დაესწრნენ.

გაცილების ცერემონიალის დასასრულს პირადი შემადგენლობა შეიარაღებული ძალების მთავარმა კაპელანმა, მამა გაბრიელმა დალოცა. IV მექანიზირებული ბრიგადის ბაზაზე გენერალ-მაიორმა ვახტანგ კაპანაძემ 43-ე ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად კვიპაროსები დარგა. საქართველოს შეიარაღებული ძალების IV მექანიზირებული ბრიგადის 43-ე ბატალიონი ავღანეთში, ბაგრამის საავიაციო ბაზაზე 51-ბატალიონის ჩაანაცვლებს. 43-ე ბატალიონთან ერთად, პირველად ჩაერთვება სამშვიდობო მისიაში ეროვნული გვარდიის გაძლიერებული ოცეული. ქართველი სამხედროები 6 თვის განმავლობაში, „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიის ფარგლებში ამერიკელ საზღვაო ქვეითებთან ერთად, სრული სპექტრის ოპერაციებს განახორციელებენ. მათი მთავარი ამოცანა ბაგრამის საავიაციო ბაზის უსაფრთხოების უზრუნველყოფა იქნება.

ინტერვიუ  
599-95-33-16

რა მიზნით „დაბრალდა“ ნაციონალების წინააღმდეგ ტელევიზიასთან, მცირერიცხოვანი კონტრაქტის ჩატარება, რატომ მიიჩნევს თავს მეორე ძალად, როდის გასაჯაროებს „კოპატირებულ“ ნაციონალი მალაჩინოსნების გვარებს, რას პასუხობს ბრალდებებს მისი პრორუსული შესახებ და ემზადება თუ არა არჩევნებისთვის — „ვერსიას“ პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი ირმა ინაშვილი ესაუბრება.



# ირმა ინაშვილი უშიშროებაში მომუშავე ნაციონალების ბპარებს მომღვწომ კვირას დაასახელებს

## „დრო მოვა და ყველა პასუხს აგებს“

წინ დაგეგმილი მცირერიცხოვანი აქცია ჩვენი მოწყობილი იყო. არადა, ისიც არ ვიცო, აქცია ვინ მოაწყო. ეს დღეინფორმაცია კი ნაციონალურ მოძრაობას დასჭირდა, რათა ეთქვა, აი, პატრიოტთა ალიანსს მხარს რა ცოტა ხალხი უჭერს და ჩვენ რა ბევრიო. ამ ძალისთვის მტრად ვარ შერაცხული და ეს ძალიან კარგია. სულაც არაა ჩემთვის საჩივრი, რომ მტრად აღიქვამენ — პირიქით. ისინი ჩვენი გუნდის კონკურენტები არ არიან, ნაციონალური მოძრაობა კრიმინალური დაჯგუფებაა, რომელსაც პოლიტიკურ კუბოზე ლურსმნის დატყევა არ სჭირდება — თავი 21 მარტს თავად დაისამარეს!

— რამდენიმე ექსპერტმა აღნიშნა, ნაციონალების აქციის კრაზი ქვეყანაში პროდასავლური ძალების დასრულებასა და პრორუსულის აღზევებას ნიშნავს. ამ პრორუსულ ძალებად თქვენ და ბურჯანაძე რატომ მოიაზრებთ?

— ნაციონალები პროდასავლური ძალა თუა, მაშინ ამ ექსპერტებს დასავლეთი პოლიტიკური ტერორის მხარდაჭერა უკონიათ. დასავლური ფასულობები არ გულისხმობს ქვეყანაში სასაკლავო მოწყობას, ხალხის ქუჩებში ჩახოცვას, ტერიტორიების ჩაბარებას, მედიის დატერორებას და ა.შ. მაშინ ექსპერტებს საერთოდ ვერ გაუგიათ, რას ნიშნავს პროდასავლურობა. ჩვენს პრორუსობას რაც შეეხება, ეს შავი პიარისა და ჩვენს წინააღმდეგ აგორებული ხანგრძლივი პროპაგანდის ნაწილია. ნაციონალურ მოძრაობას საქართველოს ყველა მოქალაქე ჯაშუშად და აგენტად ჰყავდა გამოცხადებული და ამ ექსპერტების დახმარებით დღესაც იგივე ტენდენცია გრძელდება. მე სწორედაც დასავლური ღირებულების გამტარებელი პოლიტიკური ძალა ვარ და ამაში ჩვენი პარტია თავისუფალ მედიას, ბიზნესსა და ქვეყანას გულისხმობს. თუმცა დღეს ხომ ასეთი მოსაზრებებიც ისმის — ყველა ვინც ამბობს, ქართული ძალა ვარ, ავტომატურად რუსული ძალააო.

— ჰო მაგრამ ეს პროპაგანდა „ოცნების“ დროს რატომღაა აქტუალური?

— იმიტომ, რომ ისინი კონტრასინფორმაციო უზრუნველყოფას

არ ეწევიან — ამის ან ცოდნა და გამოცდილება არ აქვთ, ან — სურვილი. საზოგადოებრივი მუშავეები კი, რომელიც ჩვენი ჯიბიდან ფინანსდება და 40 მილიონი აქვს ბიუჯეტი, ისეთ სიუჟეტებს უნდა ამზადებდეს, ხალხმა რეალურად გაიგოს, რას ნიშნავს დასავლური ფასულობები. ამ დროს „რუსთავი 2“ ხალხს იგივე იარაღების ანუ ბეჭებს. საკუთარ თავზეც აწერთხელ გამიგია, რომ გრუ-ს აგენტი ვარ. ეს იარაღები იმისთვის სჭირდებათ, ხალხი დააბნეოთ და შეცდომაში შეიყვანოთ. დიას, ჩვენ ქართული ძალა ვართ და ჩვენი ქვეყნის ინტერესი ყველგან — ვაშინგონტში, ბრიუსელში, თელავისა და ანკარაში ერთნაირად უნდა დავიცვათ. ეს პრორუსულ პოლიტიკას არ ნიშნავს, უბრალოდ, უბედურებაა, ამ იარაღს 90-იანი წლებიდან მოყოლებული, უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან მომუშავე, გრანტჩამია აგენტები აქვთ რომ გვაკერებენ. დრო მოვა და პასუხს ყველა აგებს.

— ის არის ხომ ნამდვილად თქვენ გეკუთვნით, იმ ნაციონალების გვარების დასახელებას რომ აპირებდით, ვინც „ოცნების“ უწყებების, მათ შორის უშიშროებისა და სხვა სისტემებში დღემდე მალაჩინოსნები არიან? რა ფორმა მიეცემა ამ აქციას და როდის იგეგმება?

— გულწრფელად გეტყვით — სია უკვე მზადაა და 32-დან 54 კაცზეა ასული. სწორედ ახლა ვფიქრობთ ამ გვარების გასაჯაროების ფორმაზე. ჯერ ვერ ჩამოვყალიბდით, ამ გვარებს ერთად დავასახელებთ თუ 10-10-ად. გვარების დასახელება ერთ კვირას არ გადასცდება, დიდი ალბათობით, ყველაფერს მომავალ კვირას გავსაჯაროებთ. ეს აქცია ნაციონალების ან „ოცნების“ წინააღმდეგ არაა მიმართული, ჩვენი სახელმწიფოს ინტერესების დაცვა გვსურს. ყველა „ზონდერს“, ან ნაციონალს რატომ უნდა ჰქონდეს სახელმწიფო საიდუმლოებაზე წვდომა და ძალიან სტრუქტურებში რატომ უნდა მუშაობდეს?! ეს სია უკვე მთლიანად დაზუსტებულია, რათა მასში შემთხვევითი ადამიანი არ მოხვდეს და ტყუილად არ გაიანრიოს.

— ირმა, რეგიონებში გასვლას იწყებთ, ეს ნაადრევია საარჩევნო კამპანია, თუ ვადადგელი არჩევნების მოლოდინი გაქვთ, მით უმეტეს, ნაციონალების მიერ ნახსენები იმპიჩმენტის ფონზე?

— არ ვიცი და არც მაინტერესებს მათი მოთხოვნები. მე და ჩემი გუნდი ჩვენს გზას მივყავით. ისედაც დაგეგმილი გვქონდა, ყველა ქალაქი და სოფელი მოგვევლო და ამ გასვლითი შეხვედრების დაწყების პერიოდს დასაწყისში ვაპირებთ. ჩემთვის ეს საარჩევნო კამპანიის პირდაპირი ნაწილი კი არაა, მინდა, ხალხს შევხვედე და გავიგო, რა არის მათი მთავარი სატყუარო, რათა ამის მიხედვით ჩვენი საარჩევნო პროგრამა შევადგინოთ.

### ინტერვიუ

# საგადასახადო უპრობლემის ბუმი თბილისში



## რაცომ ამონებენ ისფერიუდად პაფარა მალაბიებს და რა შენიშვნები აქვთ ექსპერტებს

ინტერვიუ  
593-51-90-12

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლები ბოლო დროს გააქტიურდნენ. თბილისის გარეუბნებში არსებული პაფარა მარკეტებისა და მალაზიების მფლობელები ლიად საუბარს ერიდებიან, მაგრამ „ვერსიასთან“ აცხადებენ, რომ საგადასახადო ორგანოების წარმომადგენლები შემომხებნას 24-საათიან რეჟიმში ახორციელებენ. მათი თქმით, პრობლემას ისიც ქმნის, რომ საგადასახადო შემომხებმა დროში იწელება. პროცესის ხანგრძლივი ვადის გამო, შენიშვნებსა და პრეტენზიებს მსხვილი იზონების წარმომადგენლებიც გამოიქვეყნებენ. ბიზნესმენებისა და ექსპერტების შენიშვნებს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი კვიციანიშვილიც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ამ მხრივ, ხარვეზები მართლაც არსებობს. პრობლემის არსებობას არც ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში უარყოფენ.

ბოლო დროს, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლები თბილისის გარეუბნებში არსებულ ნერვულ და საშუალო მალაზიებსაც „ჩაუსხდნენ“. კანონმდებლობით, სალარო ქვითის გარეშე ვაჭრობა არ შეიძლება და თუ რომელიმე გამყიდველი ან მალაზიის მფლობელი ამის გამო დაჯარიმდება, ცხადია, პრეტენზიაც არ უნდა ჰქონდეს. თუმცა საგადასახადო ორგანოების წარმომადგენლებმა მალაზიების დაჯარიმება უმნიშვნელო მიზეზების გამოც დაინყეს. მაგალითად, მალაზიაში დისტრიბუტორმა ახალი პროდუქცია მოიტანა და მოვაჭრეებმა ველარ მოასწრეს, თითოეულ მათგანზე ფასის კოდი დაეტანათ. იმის გამო, რომ საგადასახადო ოფიცერი მალაზიებს 24-საათიან რეჟიმში ამონებებს, ცხადია, ასეთი „ლაფსუსი“ არ გამოეპარება.

უკვე ერთი კვირაა, ბიზნესსასოციაციის წარმომადგენლები და

ეკონომიკის ექსპერტები, საგადასახადო შემომხების პროცესში არსებულ პრობლემებზე პრესკონფერენციებს მართავენ. მათი შეფასებით, წარსულში, საგადასახადო შემომხების მანკიერი პრაქტიკა დამკვიდრდა, რაც სანარმოების დალუქვასა და საქმიანობის შეჩერებაში გამოიხატებოდა. მართალია, დღეს ასეთი მავნე პრაქტიკა მინიმუმამდე შემცირდა, მაგრამ საგადასახადო შემომხების სისხრივ და შემომხების ვადების ხანგრძლივობა, ბიზნესექტორისთვის კვლავ აქტუალურია და დამატებით პრობლემებსაც ქმნის.

ეკონომიკის ექსპერტმა ლევან კალანდიაძემ „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ ეს პრობლემა ბიზნესის ყველა სფეროს თანაბრად ეხება: „მთავარი პრობლემა ისაა, რომ საგადასახადო შემომხების პერიოდულობა და ვადები ქვეყანაში დარეგულირებული არ არის. ეს სფერო მოუწესრიგებელია. გვინდა, რომ კარგი გარემო მივიღოთ და ამისთვის საგადასახადო სისტემის სრულყოფა საჭირო. მართალია, საგადასახადო კოდექსი ბიზნესის სასარგებლოდ შეიცვალა, მაგრამ სამწუხაროდ, დღემდე არსებობს ისეთი მუხლები, რომლებიც ორმაგად იკითხება, რის გამოც საგადასახადო წარმომადგენელი, საკუთარი შეხედულების მიხედვით აჯარიმებს საგადასახადის გადახედვას“.

ლევან კალანდიაძის განცხადებით, ბიზნესთან ჯანსაღი და შედეგზე ორიენტირებული კომუნიკაციისა და მიმზიდველი ბიზნეს-გარემოს ჩამოსაყალიბებლად, მთავრობამ მაკონტროლებელ ორგანოებში საგადასახადო შემომხებისადმი არსებული მიდგომის სისტემური ცვლილებები უნდა განახორციელოს. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება საგადასახადო შემომხების პრაქტიკის ლიბერალიზაციას, მაკონტროლებელ ორგანოებში ბიზნესსტრუქტურების წარმომადგენლების დაბარებისა და საგადასახადო შემომხების სისხრის ოპტიმიზაციას, საგადასახადო ვადების შემცირებასა და გონივრულობის ფარგლებში მოქცევას. მისი თქმით, ფინანსთა სამინისტროსა და შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლები ბიზნესთან კომუნიკაციისთვის მზად არიან, ისინი პრობლემას არ უარყოფენ. თუმცა კალანდიაძის განცხადებით, ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად, ქმედითი ღონისძიებებია საჭირო, რაც სამწუხაროდ, იგვიანებს.

ძალიან ბევრი ქეისი არსებობს, რომლებშიც ჩანს, რა პრობლემას უქმნის ბიზნესს საგადასახადო შემომხების ვადების ხანგრძლივობა. საგადასახადო კანონმდებლობით, სასამართლოში მიმდინარე საგადასახადო დავა, 2 თვის განმავლობაში უნდა გადაწყდეს, თუმცა ხშირია შემთხვევები, როცა ამ ტიპის დავა 2-3 წლის მანძილზე გრძელდება. ეს კი ბიზნესს სერიოზულ პრობლემას უქმნის, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ დამატებითი ინვესტირების მიზნით, ბიზნესმენი უცხოელ პარტნიორებთან ანარმოებს მოლაპარაკებას.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში „ვერსიას“ საგადასახადო შემომხების პროცესში გარკვეული ხარვეზების არსებობა დაუდასტურეს, თუმცა იქვე დააკონკრეტეს, რომ შემოსავლების სამსახური ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად მუშაობს. შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის უფროსის, ბაქარ დევდარიანის განმარტებით, ხშირად, საგადასახადო შემომხებმა დროში გადასახადის გადახედვების მიზეზით იწელება: „მნიშვნელოვანია, რომ დღეს დავა გვიწევს არა ბიზნესის დალუქვის ან ბიზნესმენების დატერორების, არამედ გარკვეული პროცედურული საკითხების გამო. ამ მხრივ, პრობლემები მართლაც არსებობს, მაგრამ შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლები, საერთაშორისო საავსტო ფონდისა (სსფ) და ამერიკის ხაზინის ტექნიკური დახმარების პროგრამის ფარგლებში მონეულ ექსპერტებთან ერთად, მათ აღმოსაფხვრელად მუშაობენ. საგადასახადო კოდექსის მიხედვით, გასვლითი საგადასახადო შემომხების ვადა 5 თვეა, კანონში განმარტებულია ის მოთხოვნები, რა შემთხვევაშიც შესაძლოა შემომხებმა შეჩერდეს და პროცესი გახანგრძლივდეს. ესაა დაუძლეველი ვადა ან ცალკეული შემთხვევები, რაც გასვლითი საგადასახადო შემომხებას ხელს უშლის. კონკრეტული მიზეზი, რის გამოც შესაძლოა, საგადასახადო შემომხებმა გახანგრძლივდეს, შესაძლებელი ობიექტების დიდი მოცულობაა. შეუძლებელია, მათი შემომხება 5 თვეში დასრულდეს, თუმცა ყველა შეჩერებულ შემომხებას თავისი ობიექტური მიზეზი აქვს, რაც ხან ჩვენი მიზეზითაა გამოწვეული, ხან კი გადასახადის გადახედვების. ხშირად, ისინი არ თანამშრომლობენ საგადასახადო ორგანოების წარმომადგენლებთან და ჩვენს მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის მონოდებაზე უარს აცხადებენ. ხან ბუღალტრულ აღრიცხვას არ აწარმოებენ, რის გამოც საგადასახადო შემომხება წინააღმდეგადაა. დღეს, შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტში, 1 300-მდე შემომხება მიმდინარეობს, აქედან 40 გასვლითია და 5 თვის წინ დაინყო, რაც მთლიანი შემომხების მხოლოდ 3%-ია. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, საგადასახადო შემომხებას სისტემური ხასიათი არ აქვს! არ ვამბობ, რომ პრობლემები არ არსებობს. გარკვეული ხარვეზები გვაქვს, მაგრამ მათ აღმოსაფხვრელად აქტიურად ვმუშაობთ“.

ბაქარ დევდარიანის განცხადებით, ცალკეული ექსპერტები და ბიზნესმენები ცდებიან, როდესაც ბოლო დროს გახშირებულ საგადასახადო შემომხებაზე აკეთებენ აქცენტს. მისი თქმით, 2012 წელს, შემოსავლების სამსახურმა 7 800 საგადასახადო შემომხება დაინიშნა, 2014 წელს კი ეს ციფრი განახევრდა და 3 400-ს გაუტოლდა.

11 მარტს საქართველომ ბრაზილიასთან უვიზო მიმოსვლის შეთანხმება გააფორმა. ბრაზილიის მხრიდან ხელშეკრულება ძალაში 10 აპრილიდან შევა. შეთანხმება გულისხმობს ორივე ქვეყანაში ტურისტული და ბიზნესის მიზნით ორდინალური პასპორტის მფლობელი მოქალაქეების გათავისუფლებას ვიზების აღების ვალდებულებისგან. კერძოდ, შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ, საქართველოს მოქალაქეები შეძლებენ ბრაზილიის ტერიტორიაზე შესვლას, ყოფნას და ტრანზიტს 90 დღის განმავლობაში, 180-დღიან პერიოდში. ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე, „ვერსია“ ბრაზილიის ელჩს საქართველოში, კარლოს ალბერტო ლოპეს-სსჟორას ესაუბრა, რომელმაც აღნიშნულ დოკუმენტს ხელი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ თამარ ბერუჩაშვილთან ერთად მოაწერა.

— ეს შეთანხმება ძალიან კარგი ახალი ამბავია. მოლაპარაკებები რამდენიმე წელია მიმდინარეობს. ძირითადად, ბიუროკრატიულ სირთულეებს ვაწყდებოდით და არა პოლიტიკურს. დაახლოებით ორ კვირაში, საქართველოს მოქალაქეებს ბრაზილიაში ვიზის გარეშე შესვლა შეეძლებათ, რაც ძალიან კარგია. ეს შეთანხმება გაზრდის ჩვენ ქვეყნებს შორის მოგზაურებს რიცხვს (საქართველოს ტურიზმის ადმინისტრაციის ინფორმაციით, 2013 წელს ჩვენს ქვეყანას ბრაზილიიდან 604 საერთაშორისო მოგზაური ეწვია, 2014 წელს კი — 636). ბრაზილიელებიც ასევე ისარგებლებენ. ვიზებს ბოლო რამდენიმე თვე გავცემდით, ეს პროცესი აქამდეც არ იყო რთული და არც დროში ინელგებოდა, მაგრამ თავად ფაქტი, რომ შეგიძლია დამატებითი ტვირთი აირიდო, ძალიან სასიამოვნოა.

— ბრაზილიის საელჩო 2011 წლიდან არსებობს და ვიზებს მხოლოდ ბოლო თვეებია გასცემთ?

— დიახ, მაგრამ საკონსულო მხოლოდ 2013 წლის ნოემბრიდან ფუნქციონირებს. მანამდე არ გვექონდა საჭირო მოწყობილობა. ამიტომაც ბრაზილიის ვიზების მისაღებად, ქართველები იძულებულნი იყვნენ ჩასულიყვნენ ანკარაში, ერევანში, ბაქოში, სტამბოლში ან კიევში. ვიზა არც ისე ძვირი, 20 დოლარი ღირდა. რა თქმა უნდა, რამდენიმე კვირის განმავლობაში მნიშვნელოვნად არ მომიატებოდა ტურისტების რაოდენობა, ამას დრო სჭირდება, თუმცა, ბრაზილიაში შესაბამისი ინფორმაციის გავრცელებაზე საქართველოს საელჩო იზრუნებს. საელჩოს ოფიციალურ და ასევე ჩემს პირად ვებ-გვერდებზეც უკვე განათავსებულია საიხლე.

— საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ორ ქვეყანას შორის ვაჭრობა ბოლო 10 წლის განმავლობაში 228%-ით გაიზარდა. დღეს როგორია საქართველო-ბრაზილიის ბიზნესკონტაქტები?

— ჯერ არ მაქვს 2014 წლის სრული სურათი, მაგრამ 2013 წელს, ორმხრივი ვაჭრობის შედეგად 200 მილიონ დოლარზე მეტი მივიღეთ. ბოლო წლებში, ამ მხრივ შეინიშნებოდა პროგრესი. ახლა კი, უვიზო რეჟიმის პირობებში, მოსალოდნელია, რომ ორმხრივი კონტაქტების ყველა დონეზე ზრდა, იქნება ეს ტურიზმი, ბიზნესი თუ სხვა. საბჭოთა კავშირის დროს, ეს ყველაფერი წარმოუდგენელი იქნებოდა, მაგრამ სულ სხვა დემოკრატიული საქართველო, რომელიც მსოფლიოსთვის ღიაა, რომელსაც სურს, მიიღოს რაც შეიძლება მეტი ტურისტი და ბრაზილიაც ასევე განწყობილი. მომავალ ზაფხულს, როდის ჩატარდება ზაფხულის ოლიმპიადი. ძ ბევრ ტურისტს ველო... ვინვეთ ქართველებსაც. დიდი ინფრასტრუქტურული სამუშაოები ტარდება, ხდება მოდერნიზება, ახლდება ტრანსპორტის სისტემა, გვარდება დაბინძურების პრობლემები. რიო, რომელსაც ჩვენ, ბრაზილიელები „საუცხოო ქალაქს“ ვუწოდებთ, უფრო გასაოცარი გახდება. მიუხედავად იმისა, რომ შარშან უკვე მეორედ ვუმასპინძლეთ ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატს, ოლიმპიადი ბრაზილიაში პირველად ტარდება. მთელი მსოფლიოს ყურადღება ჩვენსკენ იქნება მიმართული. რიო-დე-ჟანეირო ათწლეულებია მნიშვნელოვანი ტურისტული ცენტრია, მაგრამ ახლა განსხვავებულ ელფერს შეიძენს — ოლიმპიადი ხომ მსოფლიო სპორტის უდიდესი დღესასწაულია. სპორტმა კი, უდიდესი როლი შეიძლება შეასრულოს მსოფლიო ხალხთა დაახლოებაში.

— ცნობილია, რომ ბრაზილიელების მთავარი გატაცება ფეხბურთია. სპორტის სხვა სახეობები განვითარებულია ბრაზილიაში?

— მართლაც, ფეხბურთი ჩვენთან ეროვნული სპორტია და მას ყველა თამაშობს. ხელბურთიც ძალიან პოპულარულია — როგორც კაცთა, ისე ქალთა გუნდები ყოველთვის მსოფლიოში საუკეთესოთა შორის არიან. ჩვენი საკალათბურთო ნაკრებიც წარმატებულია. სამწუხაროდ, რაგბი, რაშიც ქართველები ძალიან ძლიერები ხართ, ჩვენთან, ჯერჯერობით, არც ისე პოპულარულია.

— ბრაზილია არ არის ევროკავშირის ქვეყანა, მაგრამ მაინც, რა მნიშვნელობა აქვს ჩვენ ქვეყნებს შორის უვიზო რეჟიმის შემოღებას რიგის სამიტამდე?

— ეს ერთმანეთთან კავშირში არ არის, მაგრამ ეს ფაქტია, ბევრ ქვეყანას სურს, საქართველო დაინახოს, როგორც პარტნიორი, რომელიც ასეთ ურთიერთობას იმსახურებს. სხვა ქვეყნებსაც შეუძლიათ, ბრაზილიას მიზამონ.

— ბევრმა არც კი იცის, რომ საქართველოში ბრაზილიის საელჩო არსებობს. როგორია ქვეყნებს შორის ურთიერთობა?

— მართლაც ასეა... საელჩო 2011 წელს გაიხსნა. მაისში ჩამოვიდა პირველი ბრაზილიელი დიპლომატი, რომელმაც შეარჩია ადგილი საელჩოსთვის, გახსნა საბანკო ანგარიში... მე

# ქვეყნის უვიზო ბრაზილიის ელჩთან



## უვიზო რეჟიმი, ზაფხულის ოლიმპიადი, ქართული კინოჩვენება ბრაზილიაში და ბოსა ნოვა თბილისში

ავგისტოში ჩამოვდი. ორ ქვეყანას შორის უმაღლესი დონის რამდენიმე ვიზიტი ჩატარდა. წელს, ჩატარდება უმაღლესი დონის ორმხრივი საკონსულტაციო შეხვედრა. ბრაზილიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თბილისში ჩამოვა. თარიღი ჯერ ცნობილი არ არის, მაგრამ ამ მიმართულებით ვმუშაობთ. ეს იქნება მეოთხე ასეთი ტიპის შეხვედრა საქართველოსა და ბრაზილიას შორის, რაც ძალიან კარგი მაჩვენებელია მაშინ, როცა მხოლოდ 4 წელია, საელჩო არსებობს.

ვთანამშრომლობთ კულტურის მიმართულებითაც. ვცდილობთ, საქართველოში წარმოვადგინოთ ბრაზილიური კულტურის ყველა ასპექტი, რაზეც კი ხელი მიგვიწვდება. გვექონდა რამდენიმე კინოკვირეული. ვფიქრობ, ისე იქნება ფილმების ჩვენება, რადგან ინტერესი მაღალი იყო. ბრაზილიის დედაქალაქში, ქართული საელჩოს ეგიდით, ქართული კინოჩვენებებაც მიმდინარეობს. გასულ კვირას ჩვენება რიოშიც მოეწყო და სან-პაულოშიც. ძალიან აქტიური ელჩი გყავთ. ნაჩვენები იყო როგორც ძალიან ძველი, ისე ახალი ქართული ფილმები. ქართულმა კინომ ხომ საოცარი პრესტიჟი მოიპოვა — ორი ფილმი ერთდროულად იყო წარდგენილი ოსკარზე. ეს ხომ ფანტასტიკურია! გილოცავთ! ვუყურე „მანდარინებს“ და ძალიან მომეწონა. „სიმინდის კუნძული“ ჯერ არ მინახავს, მაგრამ ორი თვის წინ, სან-პაულოს ფესტივალზე იყო წარმოდგენილი და ცნეს, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო ფილმი.

პროფესიონალი მუსიკოსი ვარ. რამდენჯერმე მქონდა პატივი, აქაური აუდიტორიის წინაშე გამოვსულიყავი. 2013 წლის ივლისში, კონსერვატორიაში, ბოსა ნოვას სტილში შევარაუღე სიმღერები. 3 აპრილს, ქუთაისის ოპერის თეატრში გამოვალ. ეს ჩემთვის ამაღლებული გამოცდილება იქნება — საქართველოს მეორე ქალაქში უნდა ვიმღერო. ეს არის ბოსა ნოვას

კონცერტი, სადაც ჰოლანდიელ გიტარისტ კეის ჰელდებრონსა და მარია ბარათაშვილთან ერთად გამოვალ. ასევე, ჩვენთან ერთად იქნება ახალგაზრდა ჰოლანდიელი მომღერალი კოკო დენ ბლანკენი. ყველანაირად ვცდილობთ, ბრაზილიური მუსიკა მსოფლიოში გავავრცელოთ. საქართველოში ის უკვე საკმაოდ პოპულარულია. პარალელურად, გვინდა, ქართველები ბრაზილიურ სამზარეულოსაც ვაზიაროთ. სამწუხაროდ, ჯერ აქ ბრაზილიური რესტორანი არ არის, მაგრამ სხვადასხვა რესტორნებში ჩვენი მუსიკა ხშირად უღერს.

— მაგიაზე, ოთარ ჭილაძის რომანის ინგლისური თარგმანი გიდევთ. კითხულობთ?

— ახლახან ვიყიდე. ვცდილობ, ქართულ კულტურას გავეცნო. ვნახე ბევრი ბალეტი, თეატრი, ფილმი. ვიცნობ ქართულ ფოლკლორს და ძალიან მომწონს. გავეცანი თანამედროვე მუსიკასაც. ვისურვებდი, ლიტერატურაში ორივე მხრიდან გაკეთდეს თარგმანები, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ბიუჯეტზეა დამოკიდებული და ბრაზილიასაც, როგორც საქართველოს, ბოლო პერიოდში, ეკონომიკური კრიზისი უდგას.

— პრობლემები დემოკრატიის თვალსაზრისითაც არის, თქვენი აზრით?

— დეტალებზე არ ვისაუბრებ. პროგრესი არის ევროსტანდარტებისა და თავისუფლების დაცვის კუთხით, თუმცა ეს უწყვეტი პროცესია და თვით ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც დემოკრატიის ფლაგმანი და 200-წლიანი კონსტიტუცია აქვს, სულ წინ მიდის. დემოკრატია წინსვლისა და სრულყოფის მუდმივი პროცესია. იგივე ეხება საქართველოს და ბრაზილიასაც — ვცდილობთ, მუდმივად განვითარდეთ. გულხელდაკრეფილი არ უნდა იჯდე და სასწაულს ელოდო. ყველაფერი ნელ-ნელა უნდა ააშენო.

### პერსონალი

#### ომანის საკონსულოს ვებგვერდზე აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღარ ფიქსირდება



სტამბოლში ომანის სასულთნოს გენერალური საკონსულოს ოფიციალური ვებგვერდის ერთ-ერთ განყოფილებაში უცხოელ ბიზნესმენებზე ვიზების გაცემის პროცედურებია განვიხილო.

სწორედ ამ განყოფილებაში (ბმული: <http://omanconsulate.com/en/visa-legalisations-passports/visas/sponsored-visas.html>) დამოუკიდებელი ქვეყნების ჩამონათვალში დაფიქსირდა საქართველო და მისი ოკუპირებული რეგიონები — აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი ცალკე სახელმწიფოებად.

ომანის სასულთნო აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას ოფიციალურ დონეზე არ აღიარებს. საქართველოსა და ომანის სასულთნოს შორის ორმხრივი დიპლომატიური ურთიერთობები 2007 წლის 1 იანვარს დამყარდა.

დამოუკიდებელ სახელმწიფოებად დაფიქსირება გაუგებრობაა, რის გამოსწორებაზეც მყისიერად დაინწყეს მუშაობა. ხარვეზის აღმოჩენის დღესვე გამოხსნორდა. ომანის მხარემ საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში საკუთარი პატივისცემა დაადასტურა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, თურქეთის რესპუბლიკაში, სტამბოლში ომანის სასულთნოს საპატიო კონსულის ვებგვერდზე ამოღებულია ჩანაწერი საქართველოს ოკუპირებული რეგიონების — აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტების თაობაზე.

#### საფრანგეთის სამხრეთით სამგზავრო თვითმფრინავმა ავიაკატასტროფა განიცადა

სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს მონაცემებით, თვითმფრინავის ბორტზე 142 მგზავრი და ეკიპაჟის 6 წევრი იმყოფებოდა. დაღუპულთა და დაშავებულთა შესახებ ინფორმაცია ჯერჯერობით უცნობია. კატასტროფის ადგილზე სამაშველო სამსახურები მიემართებიან. German Wings-ის კუთვნილი სამგზავრო თვითმფრინავი Airbus A320 რეისს ბარსელონიდან დუსელდორფის მიმართულებით ასრულებდა.



„პირველი“

მას შემდეგ, რაც ტერმინი კანონიერი ქურდი დამკვიდრდა, ბევრი რამ შეიცვალა. ცხოვრება წინ წავიდა და შესაბამისად, დაუწერელ ქურდულ კანონებში ცვლილებები განხორციელდა. თუ ქურდს ცოლი და შვილი არ უნდა ჰყოლოდა, ეს აკრძალავდა მარტივად მოიხსნა. კანონიერი ქურდს არ უნდა ჰქონოდა ქონება, სახლი, მანქანა... ესეც მოიხსნა და ქონებას ვინ ჩივის, კანონიერი ქურდთა უმრავლესობა პირადი დაცვით გადაადგილდება. კანონიერი ქურდები წამალს არ იკეთებდნენ, რადგან ნარკოტიკის გამო ქურდს შეიძლება შეცდომა დაეშვა. ახლა კი, არაერთი კანონიერი ქურდი ჩავარდა „წამალზე“.

„ეს აღარ არის ქურდული ცხოვრება. ეს ბარდაგია. ქურდი რომ წამალს გაიკეთებს, ქურდი რომ ნარკოტიკების გასაღებით ფულს იშოვოს, ქურდი რომ დაცვით ივლის, იმ ქურდის დედაც...“ — ასეთი თამამი განცხადება კასპელი კანონიერი ქურდის, ანუკვე გარდაცვლილი დათოს შვილმა ტარიელმა რუსთავის №17 ზონაზე მიყვანის პირველივე დღეს გააკეთა. მაყურებლები მოიღუშნენ, ერთმანეთს გადახედეს, იცოდნენ, ტარასა მძიმე წონა იყო, თავისუფლებაზე გასვლისთანავე კანონიერი ქურდობა ზედ ჰქონდა. არადა, როგორი მოსათმენი იყო, ტარასა, პრაქტიკულად, ყველა ბოლოა ქურდს აგინებდა.

„გამოდეს, კალაშოვი, ონიანი, შუშანაშვილი... ქურდები არ არიან?!“ — სირხუმე პატიმარმა №0578-მა დაარღვია და დაარღვია იმიტომ, რომ ხმის ამოღებას არავინ აპირებდა, ჰაერში დაკიდებული კითხვა კი, ადრე თუ გვიან, გასკდებოდა და ზონას წაღებდა.

„დაგეტოვებ“, — ეს ზონის პალაჟენეცის ხმა იყო და რაღაც თქმა უნდა, საკნიდან №0578-ს აძევებდა. მაყურებლების კამერაში №0578 ერთადერთი იყო, რომელიც კაბიჭის სტატუსით არ სარგებლობდა და შესაბამისად, იქ არც უნდა ყოფილიყო. „ბაზარი არაა, გავა ეს კაცი აქედან, მაგრამ კითხვაზე პასუხს თუ არ გაცემთ, რაის მაყურებლები ხართ?!“ — ტარასამ ბოლომდე დაძაბა ვითარება.

№0578 არ განძრეულა, მაგრამ მიხვდა, ყველაფერი მშვიდობიანად არ დასრულდებოდა. პალაჟენეცს სახე აელუნა, ჯერ ტარასას გახედა, მერე №0578-ს, მერე ისევ ტარასას და

# „ტარასას“ აღზავება ზონაზე

## რაცომ აგინა პალაჟენეცმა „ქურდებს“ და როგორ იძიეს შური პატიმრებმა კადმოვის, ონიანისა და შუშანაშვილის გამო



ჩუმად თქვა: „არ ვარ ვალდებული, პეხობას პასუხი გავცე ყველა სულელურ შეკითხვაზე“.

„და ქურდებზე დასმული შეკითხვა სულელური როდიდან არის, პატივცემულო?!“ — ტარასა ფეხზე წამოდგა და პალაჟენეცის წინ აისვეტა.

ყველა მიხვდა, პალაჟენეცმა შეცდომა დაუშვა. თუმცა იმასაც ყველა ხვდებოდა, ახლა პალაჟენეცის გაფუჭება, მაყურებლების ჩაჩოჩებასაც ნიშნავდა და რის გამო, ვის გამო? ტარასასი და №0578-ის?!

„არ არის ეს აქ სასაუბრო თემა, სალამოს ყველა დავსხდეთ და დავილაპარაკოთ“, — ჩუმად თქვა პალაჟენეცმა და მის სიტყვას უხმოდ დაემორჩილნენ. სალამომდე კიდევ რამდენიმე საათი იყო, პატიმარი №0578 თავის კამერაში ავიდა და ნამონვა, მაგრამ მალევე წამოაგდეს, პალაჟენეცი გიბარებსო. პატიმარი მშვიდად წამოდგა, სიგარეტის კოლოფი ჩაიღო ჯიბეში და პალაჟენეცის კამერისკენ წავიდა.

„მომისმინე. ბოლოს და ბოლოს, ვინ ხარ და რა გინდა? ამდენი ხანია, გიტანთ, ამდენი ხანია შენს სისულელეებს ვითმენთ, ამდენი ხანია არაფერს გეუბნებით და ხვდები, ხო, თავს რომ გაგივიდა?!“ — პალაჟენეცი გაცოფებული საუბრობდა.

№0578 ხმას არ იღებდა, ფეხზე იდგა და პალაჟენეცს უსმენდა.

„ხმას რატომ არ იღებ? რა გინდა-მეთქი, ბოლო ბოლო?!“ — იღრიალა პალაჟენეცმა.

„იმიტომ, რომ კამერაში მარტო მე და შენ ვართ. რაც უნდა ვთქვა, მერე რომ გაირჩეს საქმე, თქვენი დაუწერელი კანონების მიხედვით, შენ დაგიჯერებენ იმიტომ, რომ კაბიჭი ხარ და იმავე კანონების მიხედვით, კაბიჭი არ ტყუის. ან ვინმეს დაფუძახოთ ან არა და ჩუმად ყოფნა მიჩვევია“, — გამოთქმით თქვა №0578-მა.

„რამდენს ბედავ, შე ნაბიჭვარო? რა გინდა, რომ თქვა? მე ვიტყუები?!“ — იღრიალა პალაჟენეცმა და №0578-ს სილა გაანწა.

„ჯერ ერთი, მე არ მითქვამს, რომ იტყუები, შენ სალამომდე გადადე ბაზარი, ახლა დამიბარე და ცალკე მეზარები; მეორეც — ახსნა მოგიწევს ამის, რაც ახლა გააკეთე. ამ ხელის დარტყმას ლახმანობად ვაფასებ და შეგიძლია, კიდევ დამარტყა, ხელს არ შემოგიბრუნებ, მაგრამ აგახსენებ-მეთქი“, — №0578-მა ხმაში სუსხი გაურია.

„რაა, ბიჭო? ვის აახსენებენ? ლახმანი ვის უწოდებ? დღეს თუ არ დაგებრიდო, მე ვიყო ბოზი“, — იღრიალა პალაჟენეცმა და ოთახში ტარასა გამოჩნდა.

„რა ხდება აქ? რაზე თქვი, ბოზი ვიყო?!“ — იკითხა ტარასამ.

„ახლა ვისაუბროთ, გვესწრება კიდევ კაცი. ხელი დამარტყა და დამპირდა, ამაღამ თუ არ დაგებრიდო, ბოზი ვიყო“, — ჩუმად თქვა №0578-მა.

„ხელი დაგარტყა? და რაზე აინია ბაზარი? სალამომდე არ გადავდეთ თემა? ახლა ცალკე აკაჩავებ ამას, სალამოსთვის ის რომ გაიპრავო? საინტერესოა. სალამოს ბაზარს ესეც დაესწრება და... თუ დასაბრედი მიზეზი არ გექნება, ჩათვალე, ბოზი ხარ. თუ დასაბრედი იქნება, ჩემი ხელით გამოვჭრი ყელს“, — თქვა ტარასამ და კამერადან №0578-თან ერთად გავიდა.

მთელმა ზონამ გაიგო, რომ სალამოს რაღაც უნდა მომხდარიყო. №0578 ამკარად ნერვიულობდა, იცოდა, ერთი შეცდომა და მაყურებლების საკანში შესული უკან თავის ფეხით ვეღარ გამოვიდოდა. ადმინისტრაციამ მაყურებლებს შეკრება ვერ აუკრძალა, თუმცა ფანჯრიდან ყველამ დაინახა, რომ ზონის ტერიტორიაზე სპეცდანიშნულების რაზმი შემოვიდა. საჭიროების შემთხვევაში, ადმინისტრაცია ყველაფრისთვის მზად იყო. მაყურებლების კამერაში ოცამდე კაცი შეიკრიბა. პალაჟენეცი შუაში დადგა და დაიწყო.

„ძმებო, აქ ყველანი კაბიჭები ვართ №0578-ის გარდა, ქურდულად გვიცხოვრია და ქურდულისთვის თავს გადავდებთ ყველა. ტარასამ დღისით ქურდებს აგინა, უფრო ზუსტად კი თქვა, ვინც წამალს აკონტროლებს, ვინც დაცვით დადის, ყველა ქურდის დედაცო. ლიჩინები ქურდებს ბოზებისგან დასაცავად სჭირდებათ. ეს ყველამ იცის. ამიტომ, ტარასამ თავის სიტყვები უნდა ახსნას და მერე ამაზრაც უნდა თქვას, რატომ დააკონკრეტა გვარებით და რატომ ახსენა კალაშოვი, შუშანაშვილი და ონიანი“, — დაასრულა გამოსვლა პალაჟენეცმა. ტარასამ ჩაიღიმა, მაყურებლებს გადახედა და მტკიცე ხმით დაიწყო.

„მე რაც ვთქვი, იგივეს გავიმეორებ ახლაც. ქურდულად თუ ვცხოვრობთ, ქურდულად უნდა ვიცხოვროთ. სხვანაირად არ გამოვა. თუ ვინმეს პრეტენზია აქვს იმაზე, რაც ვთქვი, აუფხსნი და იგივე აზრზე ვარ. რაც შეეხება პალაჟენეცს, მან ბაზარი სალამომდე მოკლა, მერე დაიბარა ჩვენი ძმა კამერაში და აკაჩავა. ხელიც დაარტყა და უთხრა, ამაღამ თუ არ დაგებრიდო, ბოზი ვიყო. ახლა ორი ვარიანტია, ან ეს პატიმარი №0578 დასაბრედი, ან ბოზი პალაჟენეცი გყავს. მესამე ვარიანტი არ არსებობს“, — დაასრულა მონოლოგი ტარასამ და ყველამ №0578-ს შეხედა.

„ხელი მომხვდა დღეს. ვთვლი, რომ უსამართლოდ მომხვდა. პალაჟენეცმა დამიბარა და მარტო მესაუბრებოდა. კაი ბიჭის დასწრება მოვითხოვე და სწორედ მაშინ მომხვდა ხელი. თუ ამის უფლება არ მქონდა, მაშინ მოსაკლავი ვარ იმიტომ, რომ პალაჟენეცს ლახმანობა დავაბრალე, მაგრამ თუ პალაჟენეცს კაბიჭებთან რამე აქვს დასამალი და მათთან ერთად ვერ საუბრობს, გადანყვებილება თქვენ უნდა მიიღოთ“, — მშვიდად თქვა №0578-მა.

ამის შემდეგ ყველაფერი მალე დასრულდა. მაყურებლებმა მოითათბირეს და პალაჟენეცი კამერიდან ნაცემი და კუდამოცუებული გავიდა. მეორე დღეს მთელმა ზონამ იცოდა, რომ ტარასა ახალი პალაჟენეცი იყო.

„ისე, რომ იცოდე, მოსაკლავი მართლა იყავი“, — გაუღიმა ტარასამ მეორე დღეს №0578-ს.

„რატომ?!“ — დაინტერესდა №0578.

„იმიტომ, რომ ქურდების გვარები ჩამოთვალე. შენ ნანახი გყავს კალაშოვი, შუშანაშვილი ან ონიანი დაცვით რომ დადიან? გადმოცემით იცი, ხომ? ჰოდა, რაც არ გინახავს, იმას როგორ ამტკიცებ? ეს რომ ეთქვა პალაჟენეცს, წასული იყო შენი საქმე, მაგრამ ამას მოფიქრება უნდოდა“, — ღიმილით აუხსნა ტარასამ.

### პერსონალი

#### შსს-მ დაჭრის ფაქტი ხელ კვალზე გახსნა

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს მე-8 განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, 1993 წელს დაბადებული, წარსულში ნა-სამართლევი ზურაბ უ. ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა მიმდინარე წლის 23 მარტს გურამიშვილის გამზარზე მდებარე „სოკარის“ გაზგასამართ სადგურში, ურთიერთშე-ლაპარაკებისას, ცივი იარაღით ფეხის არეში დაჭრა ოპერატორი — 1991 წელს დაბადებული ზურაბ ა. მენჯერი — 1983 წელს დაბადებული ჯაფარ ა. და შემთხვევის ადგილიდან მიიშალა. დაჭრილები სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა. მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა



ამჟამად დამაკმაყოფილებელია.

სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე წუთში, გურამიშვილის გამზარზე დააკავეს. დანაშაულის იარაღი — დანა ნივთმტკიცებად ამოიღეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 118-ე მუხლით).

#### შსს-ს აკადემიის თბილისის 48-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები ესტუმრნენ

შსს-ს აკადემიის თბილისის 48-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები ეწვივნენ. ვიზიტი მიზნად ისახავდა მოსწავლეებისთვის აკადემიაში დანერგულ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხების გაცნობასა და სასწავლო ბაზის დათვალიერებას.

შსს-ს აკადემიის პროფესიული მომზადების სამმართველოს მესამე-მეშვიდე-მომზადების ფაკულტეტის მთავარმა ინსტრუქტორმა არჩილ ქავთარაძემ სტუმრებს საკუთარი პროფესიული გამოცდილება გაუზიარა. მან ყურადღება გაამახვილა უფროსკლასელებისთვის საინტერესო საკითხებზე, კერძოდ, პოლიციაში კადრების მიღების პროცედურებსა და შსს-ს აკადემიაში არსებული სწავლების მეთოდოლოგიაზე. შეხვედრაზე აკადემიის წარმომადგენელმა მოსწავლეებს ამომწურავი ინფორმაცია მიანიჭა აკადემიის საბაკალავრო პროგრამის შესახებ, რომელიც წელს პირველად ხორციელდება. შსს-ს აკადემია სტუდენტებს საპოლიციო საქმიანობისთვის აუცილებელ 4-წლიან თანამედროვე სწავლებას, ხოლო სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში — 2-წლიან სწავლებას სთავაზობს. ორივე პროგრამას გამოცდილი და სამართლის სფეროში ცნობილი სპეციალისტები უახლეს მეთოდებზე დაყრდნობით უძღვებიან.

სკოლის მოსწავლეებმა მონახულეს აკადემიის სასწავლო და ფიზიკური მომზადების ოთახები, იმიტირებული სასამართლო დარბაზი, იმიტირებული სასაზღვრო-გამშვები პუნქტი, რეალური და იმიტირებული ტირები.

მსგავსი ღონისძიებები შსს-ს აკადემიაში პერმანენტულად ტარდება და მათი მიზანია ახალგაზრდებში სამართლებრივი კულტურის ამაღლება და ამ გზით დანაშაულის პრევენცია.



სკოლის მოსწავლეები ესტუმრნენ.

#### შსს-მ 20 აბი „სუბოქსინი“ ამოიღო

შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1983 წელს დაბადებული გიორგი კ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ სარფში დააკავეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას 20 აბი „სუბოქსინი“ ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით, 0,15808 გრ ბუპრენორფინს შეიცავს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).



დინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).



არასამთავრობო ორგანიზაცია „პარტნიორობა ადგილობრივი მმართველობის სრულყოფისთვის“ გამგეობის თავმჯდომარეს, ზაურ კაჭარავას მიაჩნია, რომ დედაქალაქში, სამარშრუტო ტაქსების მძღოლები, მგზავრობის საფასურს ხელზე, ნაღდი ფულის სახით არ უნდა იღებდნენ. „ვერსიასთან“ საუბრისას ზაურ კაჭარავა განმარტავს, რომ ამ შემთხვევაში, თბილისის ბიუჯეტში ზარალდება და ფარული ეკონომიკის ნიშნებიც სახეზეა. მისი ინიციატივით, ავტობუსების მსგავსად, სამარშრუტო ტაქსებშიც ისეთი აპარატები უნდა დამონტაჟდეს, რათა მგზავრს ბილეთის აღების საშუალება ჰქონდეს.

„ვერსიასთან“ საუბრისას, არასამთავრობო ორგანიზაცია „პარტნიორობა ადგილობრივი მმართველობის სრულყოფისთვის“ გამგეობის თავმჯდომარე, **ზაურ კაჭარავა** აღნიშნავს, რომ ფარული ეკონომიკის აღმოსაფხვრელად, ხელისუფლებამ მცირე და საშუალო მენარმეებს სალარო აპარატების გამოყენება მოსთხოვა და ამ მიზნით, მონიტორინგსაც ახორციელებს. არადა, თბილისის სამარშრუტო ტაქსების შემოსავლების არრიცხვიანობა ყურადღების მიქცევას იწვევს. „მეტროსა და ავტობუსებისგან განსხვავებით, სამარშრუტო ტაქსებში დამონტაჟებულ სალაროებში, მგზავრობის საფასურის გადახდა მხოლოდ პლასტიკური ბარათის გამოყენებითაა შესაძლებელი, ნაღდი ფული კი მძღოლი ხელზე იღებს. მგზავრთა 80%-ზე მეტი, მგზავრობის საფასურის ანგარიშსწორებას პირდაპირ მძღოლთან ახორციელებს. შესაბამისად, მიღებული შემოსავლების რეალობა, მხოლოდ მძღოლსა და კომპანიასა და მოკიდებული. შესაძლოა, შემოსავლების დამალვას ადგილი არც აქვს, მაგრამ ამისთვის ყველა პირობაა შექმნილი. ჯერ კიდევ 1999 წელს, ამ სფეროში წმინდა შემოსავალი ათობით მილიონი ლარი იყო, რომელიც დაუბეგრავდ მიედინებოდა ე.წ. ხაზების, მანქანების მესაკუთრეთა და სხვათა ხელში. ამის გამო, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხაზზე მომუშავე მძღოლების რაოდენობა და ტარიფები. ვფიქრობ, შემოსავალი გაცილებით გამჭვირვალე გახდება, თუ სამარშრუტო ტაქსები აღიჭურვება ავტობუსებში არსებული საბილეთო სალაროებით და მძღოლი კონდუქტორის ფუნქციისგან გათავისუფლდება.“

ზაურ კაჭარავას განცხადებით, სამარშრუტო ტაქსებისთვისაც, დედაქალაქში ფულის დამზღვრადეგელი ავტომატების ფართო ქსელი უნდა შეიქმნას. შესაძლოა, სამარშრუტო ტაქსებში მგზავრთა გაბილეთიანება, სალონში ასვლისთანავე დაკანონდეს. კაჭარავა ამბობს, რომ პრობლემა მოგვარდება, თუ სამარშრუტო ტაქსების

# ფარული ბარიბა და კორუფცია სამარშრუტო ტაქსებში?!

## რაცომაა აუცილებელი „მარშრუტში“ პლასტიკური ბარათების გამოყენება ან ბილეთით მგზავრობა



მგზავრები, საფასურს მხოლოდ პლასტიკური ბარათებით გადაიხდიან. ამისთვის კი თბილისელების თანხმობა და დედაქალაქის საკრებულოს შესაბამისი გადაწყვეტილებაა საჭირო.

ზაურ კაჭარავამ შესაბამისი წერილით, საქართველოს ფინანსთა მინისტრს, ნოდარ ხადურს მიმართა. თუმცა ხადურის ყოფილმა მოადგილემ გიორგი ჯავახიშვილმა, კანონით დადგენილ ვადაში უპასუხა, რომ ეს ფინანსთა სამინისტროს გადასაწყვეტი არ არის და თბილისის მერიაში გადაამისამართა: „გამომდინარე იქიდან, რომ „საქართველოს დედაქალაქის — თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 პრიმა მუხლის მეორე პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, თბილისის თვითმმართველობის საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს ადგილობრივი სამგზავრო გადაყვანის ორგანიზება, მართვა და რეგულირება, ხოლო ამავე კანონის 23-ე პრიმა მუხლის „ო“ ქვეპუნქტის თანახმად, თბილისის მთავრობის უფლებამოსილებას განეკუთვნება საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში საგზაო მოძრაობისა და მოსახლეობის სამგზავრო ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზება“.

ზაურ კაჭარავამ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, გოჩა ბაბუნაშვილსაც მიმართა. 2014 წლის 12 აგვისტოს, ბაბუნაშვილმა წერილი 07/9074, მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსს, პაატა ჯაჭვლიანს გადაუგზავნა და სთხოვა, კაჭარავას ინიციატივა განეხილა და კომპეტენციიდან

გამომდინარე, საკუთარი ხედვა საკრებულოსთვის გაეზიარებინა. კაჭარავას ამ წერილზე პასუხი დღემდე არ მიუღია: „არავითარი რეაგირება ამ საკითხზე არ მომხდარა. მიმჩნია, რომ მიკროავტობუსებშიც ისეთივე სისტემა უნდა იყოს, როგორც ავტობუსებშია, მგზავრებმა ბილეთები უნდა აიღონ! როგორც მაღაზიის გამყიდველს, სალარო ჩეკის გარეშე საქონლის გაცემა ეკრძალება, ასევე უნდა ეკრძალებოდეს ნებისმიერი ტრანსპორტის მძღოლს სალაროს ბილეთის გარეშე მგზავრის გადაყვანა. ვფიქრობ, ამ მეთოდით, თბილისის ბიუჯეტში შემოსავლები გაიზარდება. ნამდვილად არ ვიცი, მძღოლი მალავს შემოსავალს, თუ ის კომპანიისა, რომელმაც მძღოლი დაიქირავა, მაგრამ მთავარია, ბიუჯეტში შემოსავალი არ შედის. ამიტომ აღრიცხვიანობა აუცილებლად უნდა მოწესრიგდეს. დღეს მგზავრთა ძალიან მცირე ნაწილი, დაახლოებით 10% იყენებს პლასტიკურ ბარათს, დანარჩენები მგზავრობის საფასურს ნაღდი ანგარიშსწორებით იხდიან. ჩემთვის მნიშვნელოვანია არ აქვს, როგორ დაარეგულირებს ამ საკითხს „თბილისის მიკროავტობუსების კომპანია“, თუმცა კომპანია ვალდებულია, რომ მგზავრთა გადაყვანისა და შემოსავლების მიღების პროცესიც გამჭვირვალე იყოს“.

ზაურ კაჭარავას განცხადებით, 2009 წელს, თბილისის მეტროპოლიტენსა და ავტობუსებში, მგზავრთა აღრიცხვიანობა მთლიანად მოწესრიგდა, სამარშრუტო ტაქსებში კი ეს საკითხი დღემდე მოუგვარებელია. მისი თქმით, თბილისის მერია და ფინანსთა სამინისტრო ყველაფერს აკეთებს მცირე და საშუალო მენარმეთა რეალური შემოსავლების დასადგენად, მაგრამ გაუგებარია, რატომ აძლევს უფლებას, რომ „თბილისის მიკროავტობუსის კომპანიის“ მძღოლებმა ფული ხელზე აიღონ: „ამ სფეროდან თბილისის ბიუჯეტში შეტანილი მთლიანი შემოსავალი გაუმჭვირვალეა. პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში, ეს პრობლემა აუცილებლად მოგვარდებოდა. წლების განმავლობაში, თბილისის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებს ამ საკითხზე საკუთარი შეხედულებები არ გამოუხატავთ. ისინი მხოლოდ უკანონოდ ჩატარებულ ტენდერსა და ამ სფეროში არსებულ მონოპოლიაზე საუბრობდნენ. მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ სამარშრუტო ტაქსები თბილისელების ყველაზე მისაღები ტრანსპორტის სახეობაა. არადა, პრობლემის დახახვას პროფესიონალიზმი სულაც არ სჭირდება. სწორედ ასეთი დამოკიდებულება გვიყარებს მოსაზრებას, რომ ამ სფეროში ფარული ეკონომიკა და კორუფცია ჯერ კიდევ არსებობს, რადგან სამარშრუტო ტაქსებში ნაღდი ფული ბრუნავს. 2011 წელს ჩატარებული ტენდერის შემდეგ, ფარული ეკონომიკის მოცულობა კი შემცირდა, მაგრამ სამხუაროდ, ჯერ არ აღმოფხვრილა“.

„ვერსიასთან“ საუბრისას, ზაურ კაჭარავა აცხადებს, რომ სამარშრუტო ტაქსის მძღოლის შემოსავალი, დღემდე, საშუალოდ, 200 ლარია. მისი თქმით, „თბილისის მიკროავტობუსის კომპანიის“ შემოსავალი, დაახლოებით, 400 000 ლარია, ამ თანხის 90%-ს მძღოლები სალაროში გაუტრებლად, ხელზე იღებენ. ტრანსპორტით ისედაც გადატვირთულ მაგისტრალსა და გამტარუნარიანობის ზღვარზე მომუშავე გზაჯვარედინებს, ყოველდღიურად, 200-ზე მეტი სამარშრუტო ტაქსი ემატება, რომლებიც 25 000-ზე მეტ რეისს ასრულებენ. ზაურ კაჭარავა ამბობს, რომ დედაქალაქში სამარშრუტო ტაქსების მარშრუტების რაოდენობა, თითქმის სამჯერ აღემატება ავტობუსების რაოდენობას: „სამარშრუტო ტაქსების ამა თუ იმ მიმართულებით მოძრაობის ინტერვალი 5 წუთის ფარგლებშია, ავტობუსების მოძრაობის ინტერვალი — 15-20 წუთია, ცალკეულ შემთხვევებში — 30 წუთიც კი. დიდი ინტერვალის გამო, ავტობუსის გაჩერებაზე მისული მგზავრი იძულებულია, სამარშრუტო ტაქსით იმგზავროს. ამ ტრანსპორტზე ფასები დიდფერენცირებულია, რადგან ქალაქში მგზავრობა 80 თეთრი ჯდება, გარეუბნიდან მეტრის სადგურამდე — 40-50 თეთრი. სატრანსპორტო ბაზარზე ისეთი ვითარებაა, რომ მგზავრთა უმრავლესობას სამარშრუტო ტაქსების ალტერნატიული ტრანსპორტით მგზავრობის საშუალება არ აქვთ. ქალაქის ყოფილმა მერმა გიგი უგულავამ, თანამდებობიდან წასვლის წინ განაცხადა, როცა ქალაქის პრობლემების მართვა ვისწავლე, მაშინ ვტოვებ პოსტსო. მართალია, უგულავას მერობის დროს, ტრანსპორტის სფეროში მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა, მაგრამ რეფორმის განსახორციელებლად, მას პოლიტიკური ნება არ ეყო. 2011 წელს, როდესაც საპატრულო პოლიციამ ფეხზე მდგომი მგზავრების გადაყვანის გამო, სამარშრუტო ტაქსების მძღოლებს დაჯარიმება დაიწყო, გიგი უგულავამ გარკვეული დრო მოითხოვა, ეს პრობლემა მოგვარებინა, მაგრამ უშედეგოდ. სამარშრუტო ტაქსებში დღემდე ნახავთ ფეხზე მდგომ მგზავრებს, მძღოლებს კი არავინ აჯარიმებს“.

„ვერსია“ თბილისის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს, **მაგდა პოპიაშვილს** დაუკავშირდა. მისი თქმით, უკვე ერთი კვირაა, პაატა ჯაჭვლიანი თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი აღარ არის, ამ პოსტზე იგი გიორგი გურგენიძემ შეცვალა. მაგდა პოპიაშვილმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ თბილისის მერია ზაურ კაჭარავას ინიციატივით აუცილებლად დაინტერესდება და ამ საკითხს შეისწავლის. მეტიც, იმ წერილსაც მოიძიებს, რომლითაც 2014 წლის 12 აგვისტოს, გოჩა ბაბუნაშვილმა პაატა ჯაჭვლიანს მიმართა.

# გორგიის უკულაზა იაფი ფასების აქცია დაიწყო

ჰიპერმარკეტ „გორგიაში“ საგაზაფხულო, ყველაზე იაფი ფასების აქცია დაიწყო. პირველ სამშენებლო სარემონტო ჰიპერმარკეტში მომხმარებელს უკვე შეუძლია, ასეულობით პროდუქტზე სპეციალური ფასი მიიღოს. აქციის ფარგლებში კაფელი 11 ლარად, ლამინატი 11.50 ლარად, 50-კილოგრამიანი ცემენტი 10 ლარად და 80 თეთრად, თაბაშირ-მუყაო 10 ლარად და 49 თეთრად, ჭალები 11 ლარიდან, ერთი ტომარა ქვიშა — 95 თეთრად, ერთმეტრიანი კაბელი 25 თეთრად გაიყიდება.

„მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში ლარის კურსი მკვეთრად შეიცვალა, ჩვენ მაინც შევინარჩუნეთ ყველაზე დაბალი ფასები და ცალკეული სამშენებლო-სარემონტო მასალები მკვეთრად გავაიაფეთ. ასევე გავზარდეთ ასორტიმენტი და მომხმარებელს უკვე ისეთი პროდუქტის ყიდვაც შეუძლია, როგორცაა ქვიშა, ცემენტი და თაბაშირ-მუყაო“, — აცხადებენ „გორგიაში“.



ჰიპერმარკეტი „გორგია“ თბილისში — წერეთლის №140-შია განთავსებული და ფილიალები აქვს ქუთაისსა და ბათუმში. პირველ სამშენებლო-სარემონტო ჰიპერმარკეტში 25 000 დასახელების პროდუქტი იყიდება. მომხმარებელს უფასო პარკირების ზონა ემსახურება და ათას ლარზე მეტი ღირებულების პროდუქტის შეძენის შემთხვევაში, საცხოვრებელ ადგილამდე მიტანა უფასოა. ჰიპერმარკეტი „გორგია“ თავის მომხმარებელს ასევე აბაზანის ინტერიერის დიზაინსაც უფასოდ სთავაზობს.



# კომპანია „არემჯის“ კუთვნილ სამთო-მოპოვებით სანარმოებში დამოუკიდებელი გარემოსდაცვითი აუდიტი ჩატარდება

ინფო ლურსმანაშვილი  
593-51-52-04

საქართველოში უკრაინელი აუდიტორები ჩამოვიდნენ, რომლებიც ქართველ ექსპერტებთან ერთად, 6 თვის განმავლობაში, შპს „არემჯი გოლდისა“ და სს „არემჯი კოპერის“ კუთვნილ სამთო-მოპოვებით სანარმოებში გარემოსდაცვით აუდიტს ჩატარებენ და შესაბამის დასკვნას დადებენ. აუდიტის ჩატარება თავად კომპანია „არემჯის“ ინიციატივაა — ხანგრძლივი მითქმა-მოთქმის, არაერთგვაროვანი ინფორმაციების გავრცელების, დაპირისპირების, საპროტესტო აქციებისა თუ ბრძოლის შემდეგ, „არემჯის“ ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგას, რათა საზოგადოებაში გაჩენილ ყველა კითხვას პასუხი გაეცეს და უკვე ყბადაღებული, ლამის, ქრონიკულ თავსატეხად ქცეული საყდრისი-ყაჩაღიანის საბადოს საკითხიც ისე გადაიჭრას, არც ქვეყანამ იზარალოს, არც კომპანიამ და, რაც მთავარია, არც მოსახლეობა იყოს უკმაყოფილო. ამ ფონზე, გასაკვირი არ არის, რომ სასტუმრო „რედისონში“ გამართულ გარემოსდაცვითი აუდიტის გეგმის პრეზენტაციას, კომპანიის წარმომადგენლების, დაინტერესებული სპეციალისტების, შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციისა და გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენლების გარდა, ბოლნისის მკვიდრებიც ესწრებოდნენ და ლიად აფიქსირებდნენ კმაყოფილებას „არემჯის“ გადაწყვეტილების გამო. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ გარემოსდაცვითი აუდიტის ჩატარება, კომპანიის კეთილი ნებაა, რადგან ამას საქართველოს კანონმდებლობა არ ავალდებულებს, უკრაინისგან განსხვავებით, სადაც, 2004 წლიდან მოქმედებს კანონი ეკოლოგიური აუდიტის შესახებ, რომელიც ავალდებულებს სანარმოებს, მოიწვიოს დამოუკიდებელი ექსპერტები და ჩატაროს წარმოების დამოუკიდებელი, ობიექტური ეკოლოგიური ანალიზი.

პრეზენტაციაზე, „არემჯის“ ჯანმრთელობის, შრომის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სამსახურის უფროსმა, მიხეილ კვარაცხელიამ ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია ააიპ „გარემოზე ზემოქმედების შეფასების დამოუკიდებელი კომისიაც“ წარადგინა და იმაზეც ისაუბრა, რა მიზნით ატარებს აუდიტს კომპანია და რამ განაპირობა ტენდერში აღნიშნული ორგანიზაციის გამარჯვება. მიხეილ კვარაცხელიამ: „რამდენიმე თვის წინ გადავწყვიტეთ, ჩავატაროთ აუდიტი, რომლის მიზანია, ყველა არსებულ კითხვას გაეცეს პასუხი და გამოვავლინოთ ადგილზე გარემოს მდგომარეობა, განვსაზღვროთ, გარემოსდაცვითი მაჩვენებლები შეესაბამება თუ არა საქართველოს კანონმდებლობას და



რა მიზნით მოიწვია კომპანიამ უკრაინელი აუდიტორები და რაგომ გადაწყვიტა ობიექტებზე „ნებაყოფლობითი შემოწმების“ ჩატარება

განისაზღვროს. ესენია: ისტორიული დაბინძურება, წყლის, ჰაერის, ნიადაგის, ხმაურით გამოწვეული, დაბინძურება, ტყესთან დაკავშირებული საკითხები, მცენარეული საფარისა თუ ცხოველთა სამყაროს მდგომარეობა... ანუ, ყველაფერი ის, რაზეც შეიძლება კომპანიის საქმიანობამ ნეგატიური გავლენა მოახდინოს. აუდიტის ინტერესის სფეროს კი წარმოადგენს მადნეულის კარიერი, საყდრისი-ყაჩაღიანის საბადო, კომპანიაში არსებული სამსხვრევი დანადგარები, საამქროები, მათთან დაკავშირებული ობიექტები თუ საცავები. სწორედ აუდიტის დასკვნის შემდეგ განისაზღვრება, რა გეგმით უნდა წარმართოს „არემჯიმ“ მომდევნო სამუშაოები. პროექტისა და 18-კაციანი ჯგუფის 6-თვიანი სამომავლო საქმიანობისა და ზოგადად, ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაციის შესახებ ისაუბრა პროექტის ხელმძღვანელმა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების დამოუკიდებელი კომისიის წარმომადგენელმა, გიორგი შაქარაშვილმა: „ეს ორგანიზაცია შექმნილია გარემოზე ზემოქმედების შეფასების ექსპერტის დასკვნის წარმოდგენის მიზნით. ჩვენ გვყავს ექსპერტთა 52-კაციანი რეესტრი, რომელშიც გაერთიანებული არიან სხვადასხვა პროფილის პროფესიონალები: სამთო საქმისა და ნიადაგმცოდნეები, ინჟინრები, არქეოლოგები, ჰიდროლოგები, გეოლოგები... მათგან იმ მიმართულების ექსპერტებს ვინვეთ ხოლმე, რომლებიც კონკრეტული საქმიანობის გეგმას აწარმოებენ. ასევე გვყავს გამოცდილი კონსულტანტები უცხოეთიდან. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან საქართველოში არ არსებობს კანონი გარემოსდაცვითი აუდიტის შესახებ. ჩვენი პარტნიორი კონსულტანტების ქვეყანაში კი, ეს კანონი, ნებისა მოქმედებს და მათ საკმარისი გამოცდილება დააგროვეს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში აუდიტის ჩატარება უმნიშვნელოვანესია — უნდა მოწესრიგდეს გარემოსდაცვითი საკითხები, რაც ასე ბევრ კითხვას აჩენს. თითოეულ მათგანს უნდა გაეცეს ამომწურავი და ობიექტური პასუხი“.

6-თვიანი აუდიტი „არემჯის“ ობიექტებზე. მათ კომპანიის მოწვევისთვის მადლობაც გადაუხადეს და აღფრთოვანებაც გამოხატეს „ნებაყოფლობითი აუდიტის“ გამო — უკრაინაში სანარმოებს კანონი ავალდებულებს, დამოუკიდებელი ექსპერტები მოიწვიონ და გამოიტყვებონ, ამას ბევრი არ აკეთებს სიამოვნებით. საქართველოში კი, მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი კანონი არ მოქმედებს, კომპანია, საკუთარი ნებით ინვესტს ექსპერტებს აუდიტის ჩატარებად. ეს ნამდვილად მისასალმებელია და ძალიან დადებითი ნაბიჯია — ასეთი უკრაინელი აუდიტორების განწყობა.

პროფესორმა ბრიგორი შატკოვმა აუდიტის მნიშვნელობის, თავისი კომპანიისა და იმის შესახებ ისაუბრა, რატომ გაკეთდა არჩევანი მათზე: „ჩვენმა კომპანიამ — „ეკოლოგიური აუდიტის ცენტრი“, რომელიც 2001 წელს შეიქმნა, წლების განმავლობაში, დაახლოებით 100 ეკოლოგიური აუდიტი ჩატარა მსხვილ სამრეწველო კომპანიებში. აღსანიშნავია, რომ ეს სანარმოები, სხვადასხვა მიმართულების იყო. მაგალითად, მეტალურგიული, ცემენტის, ურანის მოპოვებელი, თბოელექტროსადგურები, მალაროები... ჩვენ გვაქვს დიდი გამოცდილება. ჩვენი ქვეყანა, მდიდარია ბუნებრივი რესურსებით. ყველაფერი გვაქვს, ქვანახშირი, ოქრო, ნავთობი, ურანი, რკინა... მათი მოპოვება-გადამუშავებისას, რა თქმა უნდა, ბინძურდება გარემო.

სწორედ ამიტომ, ჩვენი მიზანია, მინიმუმამდე დავიყვანოთ, სანარმოების მიერ, გარემოზე უარყოფითად ზემოქმედების შემთხვევები. ჩვენ მივუთითებთ კომპანიას ნაკლებ და ვურჩევთ, როგორ იმუშაოს. ვსვამთ დამოუკიდებელ, ობიექტურ დიაგნოზს, თუ რას აკეთებს სანარმო გარემოსდაცვითი აუდიტის შესახებ. ჩვენი პარტნიორი კონსულტანტების ქვეყანაში კი, ეს კანონი, ნებისა მოქმედებს და მათ საკმარისი გამოცდილება დააგროვეს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში აუდიტის ჩატარება უმნიშვნელოვანესია — უნდა მოწესრიგდეს გარემოსდაცვითი საკითხები, რაც ასე ბევრ კითხვას აჩენს. თითოეულ მათგანს უნდა გაეცეს ამომწურავი და ობიექტური პასუხი“.

სწორედ ამიტომ, ჩვენი მიზანია, მინიმუმამდე დავიყვანოთ, სანარმოების მიერ, გარემოზე უარყოფითად ზემოქმედების შემთხვევები. ჩვენ მივუთითებთ კომპანიას ნაკლებ და ვურჩევთ, როგორ იმუშაოს. ვსვამთ დამოუკიდებელ, ობიექტურ დიაგნოზს, თუ რას აკეთებს სანარმო გარემოსდაცვითი აუდიტის შესახებ. ჩვენი პარტნიორი კონსულტანტების ქვეყანაში კი, ეს კანონი, ნებისა მოქმედებს და მათ საკმარისი გამოცდილება დააგროვეს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში აუდიტის ჩატარება უმნიშვნელოვანესია — უნდა მოწესრიგდეს გარემოსდაცვითი საკითხები, რაც ასე ბევრ კითხვას აჩენს. თითოეულ მათგანს უნდა გაეცეს ამომწურავი და ობიექტური პასუხი“.

სწორედ ამიტომ, ჩვენი მიზანია, მინიმუმამდე დავიყვანოთ, სანარმოების მიერ, გარემოზე უარყოფითად ზემოქმედების შემთხვევები. ჩვენ მივუთითებთ კომპანიას ნაკლებ და ვურჩევთ, როგორ იმუშაოს. ვსვამთ დამოუკიდებელ, ობიექტურ დიაგნოზს, თუ რას აკეთებს სანარმო გარემოსდაცვითი აუდიტის შესახებ. ჩვენი პარტნიორი კონსულტანტების ქვეყანაში კი, ეს კანონი, ნებისა მოქმედებს და მათ საკმარისი გამოცდილება დააგროვეს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში აუდიტის ჩატარება უმნიშვნელოვანესია — უნდა მოწესრიგდეს გარემოსდაცვითი საკითხები, რაც ასე ბევრ კითხვას აჩენს. თითოეულ მათგანს უნდა გაეცეს ამომწურავი და ობიექტური პასუხი“.



საერთაშორისო სტანდარტებს. გამოვლინდა საკონსულტაციო ორგანიზაცია — „გარემოზე ზემოქმედების შეფასების დამოუკიდებელი კომისია“, რომელშიც გაერთიანებული არიან ქართველი გამოცდილი და მაღალკვალიფიციური ექსპერტები. ისინი აუდიტს უცხოელ კონსულტანტებთან ერთად ჩატარებენ. რა თქმა უნდა, უმნიშვნელოვანესია, მინიმუმამდე დავიყვანოთ ზემოქმედება, რომელსაც შეიძლება კომპანია გარემოს აყენებს. აუდიტის მიმდინარეობისას, ექსპერტებსა და კონსულტანტებს, ნებისმიერ ობიექტთან დაკავშირებით, ყველა საჭირო ინფორმაციით უზრუნველყოფთ და ასევე მივანდობთ ყველა ანალიზის დასკვნას, რაც კი აქამდე ჩატარებულა“.

სწორედ ამიტომ, ჩვენი მიზანია, მინიმუმამდე დავიყვანოთ, სანარმოების მიერ, გარემოზე უარყოფითად ზემოქმედების შემთხვევები. ჩვენ მივუთითებთ კომპანიას ნაკლებ და ვურჩევთ, როგორ იმუშაოს. ვსვამთ დამოუკიდებელ, ობიექტურ დიაგნოზს, თუ რას აკეთებს სანარმო გარემოსდაცვითი აუდიტის შესახებ. ჩვენი პარტნიორი კონსულტანტების ქვეყანაში კი, ეს კანონი, ნებისა მოქმედებს და მათ საკმარისი გამოცდილება დააგროვეს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში აუდიტის ჩატარება უმნიშვნელოვანესია — უნდა მოწესრიგდეს გარემოსდაცვითი საკითხები, რაც ასე ბევრ კითხვას აჩენს. თითოეულ მათგანს უნდა გაეცეს ამომწურავი და ობიექტური პასუხი“.





# „ნაბისიერ რაჟის მივიღებ, თუ ჩემი სხეული და გონება თავისუფალი იქნება!“

## ვლადიმერ ნაბოკოვის უცნობი ინტერვიუ

რუსულად სავითარსი

1970 წელს, ვლადიმერ ნაბოკოვი უმსხვილესი ყოველდღიური ებრაული გაზეთი maariv-ის („სალამოს ლოცვა“) ებრაელ ჟურნალისტ ნურიტ ბერეცკის ინტერვიუზე დათანხმდა. ბერეცკი კითხვები, რომელთა ჩამოყალიბება არცთუ ადვილი აღმოჩნდა, მწერალს 5 იანვარს გაუგზავნა. ნაბოკოვმა პასუხებიც წერილობით, თუმცა პირადად გადასცა: 19 იანვარს ისინი მონტრეში (შვეიცარია) შეხვედნენ, სადაც პასუხებს, დაახლოებით, ორი საათი განიხილავდნენ... ვლადიმერ ნაბოკოვმა ეს ინტერვიუ თავის კოლექციაში — „მკაცრი აზრები“ არ შეიტანა. სამაგიეროდ, ბერეცკის კოლექციაში, ნიუ იორკის ბიბლიოთეკაში ინახება. 2015 წლის 13 თებერვალს, ჟურნალმა Nabokov Online Journal შემოსხენებული ინტერვიუ ინგლისურად გამოაქვეყნა. „ვერსია“ ინტერვიუს ქართულ თარგმანს გთავაზობთ.

— **შვეიცარიაში რატომ ცხოვრობთ?**  
 — აქ ძალიან კომფორტულად ვარ — მომწონს მთები და სასტუმროები. ვერ ვიტან გაფიცვებსა და ხულიგნებს.  
 — **თავს ისევე გაძევებულად გრძნობთ?**  
 — ხელოვნება უკვე გაძევებულა. ბავშვობაში, თანატოლებთან ურთიერთობისას თავს უცხოვად ვგრძნობდი. ყოველთვის მეკარე ვიყავი. ყველა მეკარე კი უკვე გაძევებულია!  
 — **შეიძლება, უცხო ქვეყანა სამშობლო გახდეს?**  
 — აშშ-ის ქვეყანაა, რომელმაც მიშვილა, ყველაზე ახლოს დგას ჩემ წარმოდგენილ „სახლთან“.  
 — **გაძევებულ ადამიანს ფესვები არ აქვს?**  
 — ფესვებზე ბევრად მნიშვნელოვანია, შეზღუდული შესაძლებლობა გაიზარდო და ჩამოყალიბდეს სრულ და ძალიან სასიამოვნო სიცარიელეში.  
 — **რომელ ენაზე ფიქრობთ, თვლით და ხედავთ სიზმრებს?**  
 — არც ერთ ენაზე არ ვფიქრობ. ჩემი ფიქრები სურათებით ენცობა ხოლმე. ძირითადი ფრაზები, რომლებსაც ვიყენებ, ასეთია: damn those trucks, espèce de crétin. სხვა მხრივ, ვითვლი და სიზმრებს ვხედავ რუსულად.  
 — **რა განსხვავებაა თქვენთვის რუსულად და ინგლისურად წერაში, ან ისევე რუსულად წერას აპირებთ?**  
 — ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, ჩემი პროზით და პოეზიით ბევრჯერ მოვხადინე ამ განსხვავებების დემონსტრირება: როგორც დაფარული, ისე მხატვრულად ძალიან კარგად გამოხატული, ასე რომ, თუ უნდათ, ყველაფერი მეცნიერებმა გამოიკვლიონ. ჯერ კიდევ ვთარგმნი რუსულიდან და ხანდახან ლექსებსაც ვწერ.  
 — **რატომ წერთ? ეს პროცესი თქვენთვის ტანჯვაა თუ სიამოვნება?**  
 — როცა ვწერ, გულგრილი ვარ ისტორიული, პუმიანტარული, რელიგიური, სოციალური და განმანათლებელი თემების მიმართ, ამიტომ ვერ ვიტყვი, რატომ ვაკეთებ. რაც შეეხება იმას, ტანჯვაა თუ სიამოვნება, ვერაფერს დავუმატებ ფლე-

ბერს, რომელმაც თავის წერილებში ამაზე უკვე დაწერა.  
 — **საკუთარი პერსონაჟები წერისას გატყვევებენ? ნიგნის გამოქვეყნების შემდეგ, მათზე ფიქრობთ?**  
 — ვფიქრობ, უფლის ინტერესი, საქმიანობის ძალიან კარგი შედეგის მიუხედავად, ადამიანს და ევას მიმართ არცთუ გულწრფელი და ხანგრძლივი იყო... ჩემი გმირებისგან აბსოლუტურად შორს ვარ, როგორც მუშაობისას, ასევე ნიგნის გამოქვეყნების შემდეგ.  
 — **როგორ გინდათ, ნაიკითხონ თქვენი ნიგნები? თქვენს მკითხველზე ფიქრობთ?**  
 — ვეჭვობ, რომელიმე მკითხველმა ისევე კარგად იცოდეს ჩემი ნაწარმოებები, როგორც მე. თუ ვერ ჩანდა მოთხრობის მნიშვნელოვან დეტალებს და აზრს, მაშინ, უბრალოდ, ცუდი მკითხველია, ესაა და ეს.  
 — **თქვენს ძველ ნიგნებს კითხულობთ?**  
 — მათი ყურადღებით გადაკითხვა ძალიან ბევრჯერ მიწევს: კორექტურისთვის, ტოპოგრაფიის შესწორებისთვის, გამომცემლობისთვის, როდესაც თარგმანს ვასწორებ და ასე შემდეგ.  
 — **რას ფიქრობთ ფილმებზე, რომლებიც თქვენი ნიგნების მიხედვით შეიქმნა?**  
 — ორი ფილმი, რომელიც ვნახე — „ლოლიტა“ და „სიცილი სიბნელეში“, ჩემი ჩარევის გარეშე გაკეთდა. საბოლოო ჯამში, გამოვიდა კარგი კინო შესანიშნავი მსახიობებით, თუმცა ეს მხოლოდ ბუნდოვანად მახსენებს ჩემ ნიგნებს.  
 — **რას თვლით მოსაწყენად და რა გახალისებთ?**  
 — მოდი, ამის მაგივრად მოგიყვებით, რას ვერ ვიტან: მუსიკალური ფონს, მუსიკას რადიოში, მუსიკას მაგნიტოფონში, მეზობელი ოთახიდან გამოსულ მუსიკას — ძალით თავს მოხვეული ნებისმიერ მუსიკას;  
 — **პრიმიტიულობას ხელოვნებაში: „აბსტრაქტულ“ სისულელეს, ერთფეროვან სიმბოლურ პიესებს, აბსტრაქტულ ძეგლებს ნაგვისგან, „ავანგარდულ“ ლექსებს და სხვა ბანალურობას. კლუბებს, ერთობას, საქმობებსა და ასე შემდეგ (25 წლის**

განმავლობაში, ალბათ, რამდენიმე ათეულჯერ განვაცხადე უარი სხვადასხვა საძმოს შემოთავაზებაზე);  
 ვერ ვიტან ტირანიას. ნებისმიერ რეჟიმს შევეგუები: სოციალისტურს, მონარქიულს იმ პირობით, რომ ჩემი სხეული და გონება თავისუფალი იქნება;  
 ვერ ვიტან თავისუფალი იქნება;  
 ვერ ვიტან თავისუფალი იქნება;  
 ვერ ვიტან საბოქალაქო ინტერესებს, დემონსტრაციებს, პროცესიებს. მოკლე ლექსიკონებსა და შემოკლებულ ცნობარებს; ჟურნალისტურ კლიშეებს, მაგალითად: „ჭეშმარიტების მომენტი“ ან საზიზარ სიტყვას — „დილოგი“.  
 სულელურ, უსიამოვნო ნივთებსაც ვერ ვიტან: სათვალის ჩასადები, რომელიც სულ იკარგება; საკიდი, რომელიც სულ ქვევით ვარდება; როცა ხელს არასწორ ჯიბეში ვყოფ. დასაკეც ქოლგებს, რომლებსაც შეუძლებელია, ღილაკი უპოვო. დაუჭრელ ფურცლებს, კვანძებს მაქმანზე. პატარა მხვლეულა ვერს იმ ადამიანის სახეზე, რომელმაც დილით პირი არ გაიპარა, ბავშვებს მატარებელში, რიტუალს, რომელიც დაძინების წინ უნდა შეასრულო.  
 — **რას ფიქრობთ ვითარებაზე ახლო აღმოსავლეთში?**  
 — არსებობს რამდენიმე სფერო, რომელშიც ჩემი განათლებების წყალობით, შემოიძლია ექსპერტი ვიყო. ესენია: პეპლები გარკვეული სახეობა, პუშკინი, ჭადრაკის თამაშის ხელოვნება, თარგმანი ინგლისურიდან, რუსულიდან, ფრანგულიდან და პირიქით, სიტყვებით თამაში, რომანები, უძილობა და უკვდავება. როგორც ხედავთ, პოლიტიკა მათ რიცხვში არ შედის. ახლო აღმოსავლეთში სიტუაციაზე კი, როგორც შორეულმა დამკვირვებელმა, შემოიძლია გიბასუხობთ, რომ მე გულთ მინდა დამყარდეს დიდი და ძლიერი მეგობრული ურთიერთობა აშშ-სა და ისრაელს შორის და ნებისმიერ პოლიტიკურ საკითხში მთელი არსებით ისრაელის მხარეს ვარ.

### საზოგადოება

# კომპანია „არემჯის“ კუთვნილ სამთო-მოპოვებით სანარკობში დამოუკიდებელი გარემოსდაცვითი აუდიტი ჩატარდება

**მე-მ გვერდიდან**  
 „არ ვიცი, როგორ ხდება თქვენ ქვეყანაში, ამას ვნახავთ, მაგრამ ჩვენთან, სამხრეთში, ხშირად ცრუობენ ინსპექტორები. რა მიზნით, ამაზე ნუ ვისაუბრებთ, მაგრამ ასე ხდება. და რადგან, ინსპექტორების ობიექტურობაში ეჭვი არაერთხელ შევიტანეთ და მართლაც აღმოჩნდით, მათ მიერ შედგენილ დოკუმენტებს, თვალდახუჭული არასოდეს ვენდობით და ვითარებას, ადგილზე, აუცილებლად გულისყურით ვამოწმებთ“, — განაცხადა გრიგორი შატკოვმა.  
 ადგილობრივი მოსახლეობა, კმაყოფილია, რომ სანარკობში გარემოსდაცვითი აუდიტი ჩატარდება. მათ ამ გადაწყვეტილების გამო, „არემჯის“ მადლობაც გადაუხადეს. კაზრეთელებს ასევე ის აინტერესებთ, რამდენად ითვალისწინებენ კომპანიები აუდიტორების რეკომენდაციებს. მათი ინტერესი, **ბრიგორი შატკოვმა** ამგვარი პასუხით დააკმაყოფილა: „ჩვენ ვატარებთ აუდიტს, ვაძლევეთ ინფორმაციას და რეკომენდაციებს. რას იზამს კომპანია მომავალში, მათი საქმეა. ზოგჯერ ძალიან მარტივი მეთოდებითაა შესაძლებელი ვითარების გაუმჯობესება. ჩემი მოღვაწეობის მანძილზე, კომპანიების მხრიდან, სამუშაოების შესრულების შემდეგ სხვადასხვა დამოკიდებულება დაფიქსირებულია: ზოგი, მაშინვე ითვალისწინებს ჩვენს რჩევებს, ზოგი ნაწილობრივ, ზოგიც, უბრალოდ, დასკვნას იბარებს და არც ჩაიხედავს მასში. მოკლედ, „არემჯის“ ხელმძღვანელობაზეა დამოკიდებული, გაითვალისწინებენ თუ არა მითითებებს, თუმცა რადგან თავად მოგვინვიეს, ვფიქრობთ, არსებობს ნება, რომ, რასაც ვურჩევთ, გაითვალისწინონ“.  
 ადგილობრივი მოსახლეობის ყველაზე მთავარი საფიქრალი კი ისაა, რამდენად გამჭვირვალე იქნება აუდიტის საბოლოო დასკვნა და ექნებათ თუ არა მათ, პროცესში რაიმე ფორმით ჩართვის საშუალება. გრიგორი შატკოვის განმარტებით, მოსახლეობაში სპეციალური ანკეტები დარიგდება. კითხვარებს თითოეული ადამიანი შეავსებს და თავის პოზი-



ციას, ამგვარად დააფიქსირებს. ამან ადგილობრივები ძალიან გაახარა, ისევე როგორც კომპანია „არემჯის“ პრინციპმა თუ დაპირებამ, რომ აუდიტი აბსოლუტურად გამჭვირვალედ წარიმართება. კომპანიის წარმომადგენლის, **მიხეილ კვარაცხელიას** განმარტებით: „არემჯის“ მიზანია, გარემოსდაცვითი აუდიტი მაქსიმალურად გამჭვირვალედ წარიმართოს და

საზოგადოება სათანადოდ იყოს ინფორმირებული, როგორც მისი მიმდინარეობის, ასევე საბოლოო შედეგების შესახებ. პრინციპში, ამ გადაწყვეტილების მიღების მთავარი მიზანი, გარემოს დაცვასთან ერთად, ის იყო, ყველა კითხვას, რომელიც ხალხს ჩვენს საქმიანობასთან დაკავშირებით უჩნდება, პასუხი გაეცეს“.

ქვითა მაციანე

# წინ-ქალის სიხისკენ!

სუჯათი

გელა ქოძიაშვილი

მანავის ციხის ეზოში შევიდვართ. თვალი ნელ-ნელა განარჩევს ორ სამშენებლო ფენას — განვითარებულისა და გვიანი შუასაუკუნეებისას. ციტადელისთვის საძირკველი, მართლაც, ჭიაბერის დროს, XII-XIII საუკუნეებში ჩაუყრიათ იმ ერთი, მცირე ეკლესიის გარშემო, რომელიც ახლა კომპლექსის შუაგულშია. მანავის ციხე ორჯერ საშინლად დაარბიეს — ერთხელ თემურ-ლენგმა და მეორედ — შაჰ-აბასმა — საქართველოს ორმა მანიაკალურმა მტერმა. ერთხელ იგი კახთა სახელგანთქმევემ, ლევანმა აღადგინა, მეორედ დავით II-იმამ-ყული ხანმა. 1722 წელს აქ ქორნილი გადაუხდია თემურაზ II-ს. საერთოდ, XVII საუკუნეში მანავი ერთხანს კახეთის ცენტრიც კი გახდა, რადგან, ლევთა ვახშირე-ბული თავდასხმების გამო, იმამ-ყული ხანს ყარაღაჯი არ დაედგომებოდა და რეზიდენცია აქ გადმოიტანა.



„ქალის ციხის“ ზურგიანი კოშკი

კომპლექსში გაღვინისა და კოშკების ნანგრევები დაკონსერვებულია, ეკლესიები კი, ერთის გარდა, აღდგენილია. ყველაზე პატარა საყდარი, მგონი, უძველესია, მის გვერდით მდგარი ორი საყდარი კი გვიანი შუასაუკუნეებისა. ამ ორი ეკლესიიდან უდიდესს მიწაში ძალიან დანიშნული აქვს. ეს ან ვეებერთელა კრიპტაა, ან წყალსაცავი, რომელიც ჩასასვლელი აღმოსავლეთიდან ჰქონია. კრიპტა უნდა ჰქონოდა პატარა ეკლესიასაც.

ყველაზე დიდი ეკლესია, რომელიც გარედან შირიმის თლილი კვადრებითაა ნაგები, ხოლო შიგნიდან — რიყის ქვითა და აგურით, განვითარებული შუასაუკუნეებისაა. მისი სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლები აღდგენილი არ არის და ტაძარი უკამაროდა დაკონსერვებული. შიგნით, საკურთხევის მთელ ნახევარწრიულ კედელზე ერთსაფეხურიანი ხარისხია მიკროლი, ხოლო ცენტრალურ ნაწილში — ტრაპეზის ქვა. გარედან აღმოსავლეთის კედელს ორი ღრმა და საკმაოდ მაღალი ნიში დაუყვება.

სასახლის ნანგრევები კომპლექსში შემონახული არ არის. ჩანს, იგი გაღვინის ერთ-ერთ მონაკვეთზე იყო მიდგმული და სრულიად განადგურდა. ნანგრევებადაა შემონახული სამი კოშკი: ერთი — კარიბჭის გულში და ორიც — 4-სართულიანი გოდოლი. უკეთ შემორჩენილი ერთ-ერთი გოდოლი, საზედაზე ქვევრის გვერდით, გვირაბის ყელი მოჩანს, ხოლო საფლავის უამრავ ქვას შორის ყველაზე მეტ ყურადღებას ის იქცევს, რომელსაც ძალიან მარტივი ეპიტაფია აქვს: „თითო შენდობა მაღირსეთ!“

გვირაბის შესახებ ადგილობრივები იმას ამბობენ, რომ იგი თითქოს, ქალის ციხესთან ადიოდა. ქალის ციხე, აქედან ჩრდილოეთით, პირდაპირი ხაზით, 4 კილომეტრში თუ იქნება, — მეუბნება ნუგზარ ტაბატაძე და ციხის ერთ-ერთ შვერილ კალთაზე მიმანიშნებს, — აი, მანდა ეგ ციხე... ბურდიანიდან უნდა მივუდგეთ, გზა იქიდან ვიცი, ათი კილომეტრი გვექნება გასავლელი.

... ესე იგი, უნდა ვიჩქაროთ. მანავი ვბრუნდებით და იქიდან ბურდიანში გადავიდვართ.

ნუგზარმა ამ გზით, მგონი, საგანგებოდ ნამოგვიყვანა, მაგრამ სამედურავი რა უნდა გვექონდეს. მან სოფლის თავში „სათივედ“ ცნობილ ადგილებში, კლდეში ნაკვეთ იმ ეკლესიასთან მიგვიყვანა, რომელიც თავად აღმოაჩინა რამდენიმე წლის წინათ.

— ვერ ვიხსენებ, სიზმრად ვნახე თუ სხვა ძალამ მიკარნახა ცხადში, ავადმყოფი შვილი მა-

შინ გადავირჩევა, თუ ნაცნობ მხარეში ეკლესიას აღმოაჩენო, — ჰყვება ნუგზარი, — სად არ ვიხეტიალე... სულ ტყუილ-უბრალოდ... არადა, თურმე, ნაეკლესიარი სოფლიდან ორ კილომეტრში უნდა მეძებნა. ეჭვი აქ არსებულმა არაბუნებრივმა გორაკმა გამიჩინა თავში. რაღაც უცნაური ქვის ქიმიც მოუჩანდა. დავეინყე თხრა და ორ საათში ტრაპეზის ქვამდე ჩავედი, მაგრამ ეს არ იყო ძირითადი ეკლესიის ტრაპეზის ქვა. ახლა განვიად გავთხარე მიწა და მოზრდილ სივრცეში აღმოვჩნდი. ტრაპეზის ქვა აქაც იყო, ოღონდ გაცილებით საინტერესო. თბილისიდან ჩამოსულმა ძეგლთა დაცვის მუშაკებმა მუზეუმში გადაიტანეს. დანარჩენს თავად ხედავთ...

ჩვენს წინაშე გარეჯის უდაბნოს ქვაბების მსგავსი ორნაეიანი ეკლესია. ტრაპეზის ქვის მიხედვით, ეს ეკლესია მეშვიდე საუკუნისა უნდა იყოს. ხელოვნებათმცოდნე ნინო იამანიძე ტრაპეზის ამ ქვას ზედაზნის ტრაპეზის ქვას ამსგავსებს.

ტაძრის ჩამარხვის მიზეზი კლდის ბუნებრივი კამარის ჩამონგრევა გამხდარა. მიწისა და კლდის ამ ნამსხვრევების გამოტანის შემდეგ, ქვაბსაყდარმა ცოტათი თვალში გამოიხედა. მისი სიგრძე 8 მ-ია. ამავე კლდის მასივის მეორე მხარეს ერთი მცირე ქვაბი კიდევაა, ხოლო ქვაბის წინ, მცირე ფლატეზე — გაურკვეველი ნაგებობის ნაშთი.

ნუგზარ ტაბატაძე დარწმუნებულია, რომ სიახლოვეში ერთი ან რამდენიმე ასეთი ქვაბსაყდარი კიდევ უნდა იყოს, რაც ერთი მთლიანი მონასტრის არსებობას დაადასტურებს. იგი ალბათ გარეჯის რომელიმე დიდი მონასტრის „მეტოქი“ იქნებოდა.

— უფალმა შეისმინა ჩემი ვედრება, დაინახა ჩემი შრომა და შვილი გადამიჩინა, — ამბობს ტაბატაძე იქვე მდგომ ვაჭრეზე. — ჰოდა, რაკი ასეა, ახლა ვიდგომოპერატორს ასისტენტობა უნდა გაუწიოს და აპარატურის ტარებაში დაეხმაროს.

წინ, ქალის ციხეებისკენ, რომელიც აქამდე ვიდეოკამერას არ უნახავს!

გზად თარაქას გავდივართ. ამ ნასოფლარში თავდაპირველად ე.წ. მისალოცის ძეგლებთან ვჩერდებით. ერთ-ერთი მათგანი, რომელიც თითქმის ფუძის დონეზე დარჩენილი, ნამდვილად ნაეკლესიარია, მეორე კი, რომელიც სამეკლესიან ტაძარს წააგავს, მაგრამ სამხრეთ-ჩრდილოეთის გრძივ ღერძზეა აგებული, ტაბატაძის თქმით, საბაჟო იქნებოდა (?). მისგან ჩრდილოეთით „მთავარანგელოზია“, რომელიც სიგრძეში 5 მ-ია, სიგანეში კი 3,7 მ. საყდარი, რომელსაც კამარა შენარჩუნებული აქვს, აშენებულია რიყის ქვითა

და აგურით. სამხრეთ-დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ კუთხეებში მომწვანო ფერის მაღალი ლოდებია ჩაშენებული. ეკლესიას ერთადერთი კარი დასავლეთ კედელში აქვს, ხოლო ორი ვიწრო სარკმელი — კარის თავზე და საკურთხევის აფსიდში. საკურთხევის აფსიდისთვის არასწორი ნაღისებრი ფორმა მიუციათ და მასში ორი მცირე სწორკუთხა ნიში გამოუკვეთათ. ეკლესია IX-X საუკუნეებისა უნდა იყოს. „მთავარანგელოზი“ და „მისალოცი“ თუ ტყეშია, მისგან ჩრდილო დასავლეთით მდებარე „წმ. გიორგის“ ნაშთები მთის შიშველ კალთაზე, ზედ გზის პირზეა.

მისი კედლები მხოლოდ 2-2,5 მეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი. საკურთხევის აფსიდში, სარკმიდან ორსავე მხარეს, კედელში, კაცის სიმაღლის ოდნავ მისერული ნიშებია გამოჭრილი. ეს ტაძარი XI-XII საუკუნეების ნაგებობის შთაბეჭდილებას ტოვებს.

500 მეტრის გავლის შემდეგ ისევ ტყეში შევიდვართ და ამჯერად XVI საუკუნის აგურით ნაგებ კოხტა, ჯვარგუმბათოვან ტაძართან ვჩერდებით. იგი სიგრძეშიც და სიგანეშიც ერთნაირად — 7,5 მ-ია, სიმაღლეში კი დაახლოებით 10 მ. შესასვლელი სამივე მკლავშია გაჭრილი, ხოლო გუმბათის ყელში ოთხი სარკმელია. ვისი სახელობისაა ეს ეკლესია, აქაურებმა არ იციან. მათ ტაძარს ლამაზი სახელი „ვედრებელა“ გამოუგონეს. რაც შეეხება ნასოფლარის სახელს, „თარაქას“, მგონი, ეს სიტყვა და საბას მიერ ნახსენები „თარაკი“ ერთი და იგივე უნდა იყოს. „თარაკი“ კი, საბას განმარტებით, უცხოური სიტყვაა და „კურთხეულთა გულისთქმას“ ნიშნავს. და მართლაც, ჩვენს შემთხვევაში საქმე ხომ კურთხეულ ბერთა გულისთქმის ალაგთან, ან უკეთ რომ ვთქვათ, ბერად შემდგართა სანეტარო, სამონასტრო ალაგთან გვაქვს. არის მეორე ეჭვიც: თარაქი „თრევიდან“ ხომ არ მომდინარეობს?

თარაქიდან იწყება სწორედ მწვერვალ მანავის ციხეზე ასასვლელი ყველაზე დიდი აღმართი. გზის სირთულეს სწორედ ახლა ვუსწორებთ თვალს. ნიადაგი, თითქოს, მშრალი იყო, მაგრამ ორჯერ ისე ჩავეჭვქით ტალახში, რომ მანქანას საბურავები აღარ უჩანდა. აი, აქ კი გამოგვაგდა ტაბატაძის ჯალამბარი, ხეებს მოვდეთ და დიდად ნაქები იაპონური „ინფინიტი“ გაჭირვებით გამოვიყვანეთ მშრალზე. ნახევარ საათში მანავის ციხეს თხემზე მოვექეციეთ (ზღვის დონიდან 1631 მ). არსებობს მეორე, უფრო მაღალი „ცივიც“, მაგრამ გზა მანავის ციხეზე გადის. დადგა დრო, ჩვენი მეგზურისთვის მთავარი შეკითხვით მიმემართა:

— არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ კანარეთიდან ჭერემისკენ მიმავალი გზა აქ გადაიდა?

— რა თქმა უნდა, — დაუფიქრებლად მპასუხობს ტაბატაძე, — ჩვენ ახლა სწორედ ამ გზაზე ვდგავართ. ახალი გზის ეს პატარა მონაკვეთი, რომელიც ტყემდე ჩადის, ძველ ნაგზაურზეა გაყვანილი. აი, იმ მიუბს რომ უყურებთ, — ტაბატაძე ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ მიმითითებს, — ჭერემის მთებია და კანარეთიდან მომავალი ეს გზა სწორედ იქ შედიოდა. მეორე გზა უფრო ჩრდილოეთით მიემართება და კისისხეში ჩადიოდა.

— შეიძლება, წმინდა ნინოს ამ გზით ევლო შიდა კახეთამდე?

— აბა, სხვა მეორე გზა რომელია?! — უკვირს ჩემს მეგზურს.



თარაქის „წმინდა გიორგი“




თარაქის „მთავარანგელოზი“



თარაქის „ვედრებელა“



ბურდიანის ეკლესია და სტელის ფრაგმენტი



შეგბით ამოვიხსენებ. მე ახლა მოციქულთა სწორის ნაკვალევზე ვიდექი.

— ქალის ციხეზე აღარ ჩავიდეთ? — მეკითხება ტაბატაძე.

— რა თქმა უნდა, ჩავიდეთ!

მანავის ციხის სამხრეთ ცხვირზე დავეშვით და მალე ისევ ტყეში აღმოვჩნდით. კილომეტრნახევარში ქალის ციხესაც მივაღვექით. მისგან ახლა მხოლოდ მთავარი კოშკის კედლების ნაწილია გადარჩენილი. კოშკი ზურგიანია, მაგრამ ჩემდა გასაკვირად, ეს ე.წ. ზურგი ანუ ნახევარწრიული შემოწერილობის კედელი, რომელიც ყოველთვის მთისკენაა ხოლმე მიმართული ქვათა ცვენიასასხლტად, ამჯერად ხევისკენაა მიქცეული. ციხე IX-X საუკუნეების ნაგებობას ჰგავს.

— ქალის ციხე იმიტომ ჰქვია, რომ მტრის შემოსევისას მანავიდან აქ იხიზნებოდნენ ხოლმე ქალები და ბავშვები, — განმარტავს ტაბატაძე, — მანავის ციხეში რომ გვირაბის დასაწყისი ვნახეთ, სადღაც აქ ამოდიოდა, მაგრამ ახლა ამოვსებული და დანგრეულია.

ქალის ციხიდან მანავის ციხე შორსაა სამხრეთით, მაგრამ მაინც თვალნათლივ მოჩანს. რატომღაც ისე მგონია, რომ ძველი მანავი აქ იყო და კახეთ-ჭერეთის პროვინციათა გამოყოფი ქვის სამანიც სადღაც აქ იდგა.

მანავის ციხე XIV საუკუნის ერთი დიდი ამბის მომსწრეა. გიორგი ბრწყინვალემ სწორედ აქ მოინგია სახანდომოდ მონღოლებთან გაამხანაგებული ურჩი ფეოდალები და სიკვდილით დასაჯა. ბუნებრივია, რომ ნადიმს მეფე ტრიალ მთაზე არ გამართავდა და ფეოდალებს ციხე-დარბაზში მიიწვევდა. ქალის ციხე სწორედ იმ ციხე-დარბაზის შთაბეჭდილებას ტოვებს, რადგან იგი ძალიან მიუვალ ადგილზეა. ერთი სიტყვით, მეფემ სადღაც აქ ითრია ურჩი ქვეშევრდომები.

ავტორის ფოტოები

მანავის ციხის ერთი მონაკვეთი ჩრდილოეთიდან და მისი სამი ეკლესია



ს უ ლ ტ ე რ ი კ ა მ ა რ ტ ი

ა ღ ვ ი ლ ი

ს ტ ა ნ დ ა რ ტ ი

რ თ უ ლ ი

ე ქ ს პ ე რ ტ ი

	5			9		6
			5		1	
3		6			2	
		2		1		3
	6	5		2	8	4
	4			7	6	
		4			9	2
	8			9		
5			7			6

		2	6	8			7
8			4				9
	6					2	8
4			5	6		9	
2			3		9		5
		9		2	8		4
	4	8					7
	1			4			2
7			9	3	4		

			4		6		
			5	3			8
	9		8			5	7
		6		7		3	2
	2	1		8		9	
2	7				8		1
9				6	4		
		3		2			

3			9		8			5
	9	5	7			2		
8		7	6				1	
7		9			5			
			1			6		3
	8				6	9		2
		6			9	8	5	
9			8	4				6



შემწვარი ყაბჭოვითი ღებვისიას ინვესტი

როგორც აღმოჩნდა, შემწვარი კარტოფილის მოხმარებამ, შესაძლოა, ღრმა დეპრესია გამოიწვიოს. ჰარვარდის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ადამიანის ფსიქიკისთვის ძალიან მძიმეა მახშირწყლებით გაჯერებული საკვები. „მავნებლების“ სიაში სწავლულდება არ მხოლოდ შემწვარი კარტოფილი შეიტანეს, არამედ ბევრისთვის საყვარელი პასტაც. მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ ის მანდილოსნები, რომელთა მენიუშიც ნახშირწყლები და ნივთიელი ხორცი უხვადაა, გაცილებით ხშირად ვარდებიან დეპრესიაში. კვლევებისას ექსპერტებმა დაამტკიცეს, რომ ასეთი მენიუს მიმდევრებს დეპრესია 40%-ით ხშირად ემართებათ. ამერიკელ სწავლულთა კვლევები 12 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, რომლის მონაწილეს, სხვადასხვა ასაკის, 43 ათასი ქალი იყო. ექსპერიმენტის დაწყებამდე არც ერთი მათგანი არ ჩავარდნილა დეპრესიაში — ეს ფაქტორი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ზუსტი მონაცემების მისაღებად. კვლევების ბოლოს აღმოჩნდა, რომ ნახშირწყლებით გაჯერებულ პროდუქტსა და ღრმა დეპრესიას შორის კავშირი უდავოდ არსებობს.

მოხუკ ახარაკებს

ბრაზილიელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ისეთი მავნე ჩვევა, როგორც სიგარეტის მოწევა, ადამიანს აზარმაცებს. მარტივი კვლევების შედეგად სწავლულდება შეძლეს დამტკიცება, რომ ის ადამიანები, ვინც ყოველდღიურად ნიკოტინის გარკვეულ დოზას იღებენ, ძალიან ცოტას მოძრაობენ და ურჩევნიათ სრულ განცხრომას მიეცნენ. ექსპერიმენტული კვლევებისას, რომელიც თითქმის ერთ კვირას გაგრძელდა, 50 თავგამოდებული მწვეელი და 60 არამწვეელი სარგებლობდა ნაბიჯების მზომით, რამაც მკვლევარებს საშუალება მისცა, შესაბამისი დასკვნები გამოეტანათ. მინიმალური ინტერესი და მოძრაობის სურვილის არარსებობა გამოვლინდა იმ ადამიანებში, ვისი ფილტვებიც არასრულფასოვნად მუშაობდა. გამიკითხვისას კი მწველებმა ისიც აღნიშნეს, რომ ხშირად აქვთ გადაღლილობის შეგრძნება და საქმის კეთების უუნარობა, არამწველებში მსგავსი რამ არ შეინიშნებოდა.



წომეული ფაღლილოზას ინვესტი

სპეციალისტების განცხადებით, პურისა და ცომეულის გადაჭარბებული მოხმარება ადამიანში დაღლილობასა და რეაქციების შენელებას იწვევს. მიზეზი ფქვილის ნაწარმის შემადგენლობაშია. ცნობილი ამერიკელი კარდიოლოგის, უილიამ დევისის თქმით, დღეს პურპროდუქტი ადამიანის რაციონის 30-35%-ს შეადგენს, რაც ჯანმრთელობისთვის არ არის სასარგებლო. მედიკოსებმა დაასკვნეს, რომ თანამედროვე ადამიანები ხორბლისგან დამზადებულ ბევრ პროდუქტს მოიხმარენ, მაგრამ მარცვლეულის დღევანდელი სახეობები გენმოდირებული ცილა გლიადინის შეიცავს, რომელიც დაღლილობის შეგრძნებას იწვევს. თეთრი პურის გადაჭარბებული მოხმარება ორგანიზმში უჯრედის დეფიციტს იწვევს, ეს კი ტვინის ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანი კომპონენტია. გარდა ამისა, ცილა გლიადინის მოქმედება ოპიატების ეფექტს ჰგავს. ეს პროტეინი, რომელსაც პურფუნთუშეულთან ერთად ვიღებთ, ტვინის რეცეპტორებს ააქტიურებს, რომელიც მადასა და საკვებიდან სიამოვნების მიღებაზე პასუხისმგებელი. ამიტომ ადამიანი უფრო მეტ კალორიას იღებს, რაც წონაში მატებასა და სიმსუქნეს იწვევს.



წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ა ღ ვ ი ლ ი

8	2	9	7	6	5	4	3	1
3	1	4	2	9	8	7	6	5
7	6	5	3	1	4	2	8	9
9	8	7	6	5	3	1	4	2
4	5	2	1	8	9	3	7	6
6	3	1	4	2	7	9	5	8
2	9	3	8	7	6	5	1	4
1	7	6	5	4	2	8	9	3
5	4	8	9	3	1	6	2	7

ს ტ ა ნ დ ა რ ტ ი

4	1	3	6	8	9	2	7	5
9	2	8	5	7	1	6	4	3
7	6	5	4	3	2	1	9	8
6	9	4	3	5	8	7	2	1
1	8	7	2	6	4	5	3	9
5	3	2	1	9	7	4	8	6
8	5	9	7	4	6	3	1	2
2	7	6	9	1	3	8	5	4
3	4	1	8	2	5	9	6	7

მე-10 გვერდი: 1. დიოგენე; 2. ილიეთი; 3. გოგჩა; 4. ნორდი; 5. ჰერპესი; 6. ესმერალდა; 7. პინო; 8. სათაფლია; 9. ვენგერი; 10. ნაგანი; 11. რუბერ-ოიდი; 12. პრალა; 13. ამანათი; 14. აიკილო; 15. აუდიტი; 16. ევა; 17. არე; 18. აზარმაცი; 19. ევენკები; 20. პირანია; 21. იისფერი; 22. ლუჩია; 23. ბაჭია; 24. ორთი; 25. დია; 26. კლიო; 27. ალგებრა; 28. ევა; 29. ბისერი; 30. ჭიუხი; 31. იდილია; 32. სმალტა; 33. საუნა; 34. არა; 35. კრავი; 36. მაიკო; 37. მინერვა; 38. ონი; 39. მესხეთი; 40. ლილა; 41. დასი; 42. დრო; 43. კივი; 44. რეიდი; 45. ლეი; 46. იონი; 47. ლოკატორი; 48. დენდი; 49. ნიუ; 50. დენთი; 51. ფოთი; 52. ბირმა; 53. ფაუ; 54. სე; 55. კითარა; 56. ვანილი; 57. არშინი; 58. რუ; 59. ფხა; 60. აგნესა; 61. ალოე.

მე-12 გვერდი: 1. პანკრეასი; 2. კრევეტი; 3. პეტეფი; 4. ნოიერი; 5. რაკეტა; 6. რეგენტი; 7. ვალენტობა; 8. ტაბუ; 9. „ილიადა“; 10. იტალია; 11. კაიუტა; 12. გულაბი; 13. ასკილი; 14. აპრილი; 15. პოსტ; 16. ტირიფი; 17. ნუნა; 18. ლიტ; 19. აბზინდა; 20. აბულია; 21. კობი; 22. ხინკალი; 23. არამისი; 24. მიალგია; 25. სიესტა; 26. „აიდა“; 27. ირიბი; 28. იანუსი; 29. ლედა; 30. ლანდო; 31. ფარადეი; 32. რეაქცია; 33. ანილინი; 34. ილი; 35. ლუქსი; 36. სომელიე; 37. ბალუ; 38. ბაზა; 39. აქცია; 40. ლას; 41. ილია; 42. ექო; 43. ტანგანიკა; 44. კვირინალი; 45. გაცი; 46. ჩიკორი; 47. ლიან-დაგი; 48. კურსივი; 49. ისარა; 50. ჩაკონა; 51. ოე; 52. ბაჭია; 53. კიტო; 54. რარიტეტი; 55. აკოლადა; 56. ოკა; 57. ჭრებალი; 58. ინტი; 59. კაკაო; 60. კანიონი; 61. ოსლო; 62. ბორის; 63. გორდია; 64. სოს; 65. ქარი; 66. ეტი; 67. ზეინი; 68. ბალი; 69. „რენო“; 70. ლატექსი; 71. ზრო; 72. ბოი; 73. აპია; 74. ეტალონი; 75. ბზე; 76. აგრა; 77. ნორიტი; 78. ელიბო; 79. ბაზალიომი; 80. ია; 81. კიი; 82. ივი; 83. ისტორია; 84. ბია; 85. ბახი.

რ თ უ ლ ი

3	4	1	2	9	8	7	6	5
2	9	8	6	7	5	3	4	1
7	6	5	4	3	1	2	9	8
5	3	4	1	6	2	9	8	7
6	2	7	9	8	4	1	5	3
1	8	9	7	5	3	6	2	4
9	1	6	8	4	7	5	3	2
4	7	3	5	2	9	8	1	6
8	5	2	3	1	6	4	7	9

ე ქ ს პ ე რ ტ ი

5	7	8	6	4	9	3	2	1
6	3	4	5	2	1	9	8	7
9	2	1	3	8	7	6	5	4
4	1	9	2	5	8	7	6	3
3	8	6	7	1	4	2	9	5
2	5	7	9	6	3	4	1	8
7	6	3	8	9	5	1	4	2
8	4	2	1	7	6	5	3	9
1	9	5	4	3	2	8	7	6

სოლის მაღალი ხელფასი ქორწინებას ამყარებს

ამერიკელი ექსპერტები ირწმუნებიან, რომ ცოლის დიდი შემოსავალი არ ანგრევს ოჯახს, როგორც აქამდე გვიმტკიცებდნენ. პირიქით, ეს ფაქტი ამცირებს წყვილის დამორების რისკს. ამ სფეროში არსებული კანონზომიერება დაახლოებით ასეთია: თუკი ცოლის ხელფასი 20%-ით აღემატება ქმრის შემოსავალს, მათი დამორების ალბათობა 80%-ით მცირდება. ასეთი ციფრები გამოიყვანეს საკითხის შესწავლისას, რომლის დროსაც სპეციალისტები 4 ათასი ოჯახური წყვილის ურთიერთობას აკვირდებოდნენ. რაც უფრო მაღალი იყო ცოლის ხელფასი, მით მტკიცე აღმოჩნდა ქორწინება. შესაზლოა, მეუღლეების მაღალი შემოსავალი კაცებს მათთან დამორების სურვილს უქრობს, — ვარაუდობენ ექსპერტები და აღნიშნავენ, რომ სუსტი სქესის ის წარმომადგენლები, რომელთაც ჩვილები ჰყავთ, საკუთარი სურვილით კი არა, აუცილებლობის გამო მუშაობენ. როგორც გამოკითხვამ აჩვენა, მათგან 30%-ზე მეტს დიასახლისობა სურდა, ყოველი 10 ქალიდან კი 6 არასრულ სამუშაო დღეს არჩევდა.

